ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 6 მარტი 2004 №50 (2069) ფასი 50 თეთრი


# ანტრე, ბატონო!



# ჟირესი და ბევრი მერსი



გუშინ თბილისში ჩამოსულმა ფრანგმა მწვრთნელმა ქართველ ჟურნალისტებს ტაქტიკამდე ტაქტით მოაწონა თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალენ ჟირესს ტაქტიკამდე ტაქტი არ მშლება

*– გმადლობთ ყურადღებისთვის, ნამდვილად არ ველოდი, თუ ჩემი აქ ჩამოსვლა ასეთ ინტერესს გამოიწვევდა, გმადლობთ თბილი დახვედრისთვის – აი, საქართველოს ნაკრების მომავალი მწვრთნელის ალენ ჟირესის პირველი თბილისური სიტყვები, პირველი შეხვედრა, ნაცნობობა ჩვენს ქვეყანასთან...*

*გუშინ ალენ ჟირესი თბილისში ჩამოვიდა. ჩია, შევერცხლილი თმები, ღიმილი და ტაქტი, ურთიერთობის კულტურა, რითაც მუდამ გამოირჩევიან ფრანგები – ასეთია ეროვნული გუნდის 52 წლის ახალი თავკაცი. სავიზო ფორმალობების მოგვარებას დიდი დრო არ წაუღია, ჟირესის საბუთები რამდენიმე წუთში გაფორმდა და ფრანგმა საზღვარი გადმოკვეთა, მსუბუქი ჩანთა მანქანის საბარგულში ჩადო და ჟურნალისტებისკენ დაიძრა – ესეც კულტურა, ჟირესმა იცის, რომ მას ელიან და მას-მედიის ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს, მერე იბოდიშებს და უფრო ვრცლად და საფუძვლიანად სასაუბროდ პრესკონფერენციაზე გვიწვევს, რომელიც ხვალისთვისაა დაგეგმილი.*



— ძალიან მიხარია, რომ საქართველოში ვარ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს პარიზში უკვე შევხვდი და ვისაუბრეთ, აქ კი ჩვენი მოლაპარაკება გაგრძელდება. მსურს გავიცნო საქართველო, ქართული ფეხბურთი, ქართველები, გმადლობთ, ასეთი თბილი მიღებისთვის.

— რაკი ახლა თბილისში ბრძანდებით, ჩავთვალოთ, რომ ჟირესი უკვე საქართველოს ნაკრების მწვრთნელია?

— ვიდრე კონტრაქტი არ გაფორმებულა, ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. ისე კი, თბილისში იმიტომ ჩამოვედი, რომ ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკება საბოლოოდ დავამთავრო, დავამთავრო კონტრაქტზე ხელმოწერით.

— ფედერაციის მოთხოვნა მწვრთნელისადმი ერთია — ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ათამაშოს. თქვენ საამისოდ მზად ხართ?

— რა თქმა უნდა. ვიცი, როგორ რთულ შესარჩევ ჯგუფში მოხვდა საქართველოს ნაკრები, მაგრამ ამასთან ერთად ისიც ვიცი, რომ იოლი მეტოქეები აღარ არიან. რა თქმა უნდა, სიძნელეები ყოველთვის არსებობს, თუმცა მე ეს არ მაშინებს და სადაც კი ვმუშაობ, ყველგან უმაღლესი მიზნისთვის ვიბრძვი... ახლა ბოდიში, ფედერაციის პრეზიდენტთან შესახვედრად ვჩქარობ, კვირას შევხვდეთ და დანარჩენზე მაშინ ვისაუბროთ...

ალენ ჟირესის თარჯიმანი გია გურული იყო, რომელიც მასთან ერთად ჩამოფრინდა და ნაკრებში მუშაობისას მისივე თანაშემწე იქნება. მწვრთნელმა თავი დაგვიკრა და სასტუმრო „მერიოტისკენ" გასწია. ნამგზავრმა 15 წუთი დაისვენა, ამასობაში კი მასთან შესახვედრად ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი და ირაკლი მეძმარიაშვილი გამოჩნდნენ. გამოჩნდა ალენ ჟირესიც. გულთბილი შეხვედრა, მოკითხვა, მწვრთნელი მერაბ ჟორდანიამ ქართული სპორტის ჩინოსნებს წარუდგინა და სავახშმოდ იქვე მიიპატიჟა. მინისტრი აღარ შეყოვნებულა, ჟირესს სალმისთანავე დაემშვიდობა...



— არ არის გამორიცხული, ალენ ჟირესი საქართველოს პრეზიდენტმა მიიღოს და პირადად გაიცნოს. მთავარია, რომ ჟირესს საქართველოში ის პირობები ჰქონდეს, რაც ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასაღწევად სჭირდება. ჩვენ მას ყველანაირად მხარში დავუდგებით — თქვა კულტურისა და სპორტის მინისტრმა.

ის კი, რა ითქვა ვახშმისას, ჩვენთვის უცნობია, სტუმარ-მასპინძლებმა კარგა ხანს, დაახლოებით სამი საათი ისაუბრეს.

ჟირესთან კონტრაქტი გუშინვე არ გაფორმებულა. შესაძლოა, არც დღეს გაფორმდეს და არც ხვალ, თუმც კი, რომ გაფორმდება — ნაღდია, სასწაული უნდა მოხდეს, აქამდე მიყვანილი მოლაპარაკება ისევე ჩაიშალოს, როგორც ანრი მიშელისას იყო ჟირესმა და ჟორდანიამ კონტრაქტი ხელმოწერებით, შესაძლოა, მომავალ კვირაში, პარიზში, დაამშვენონ — მიხეილ სააკაშვილის საფრანგეთში ვიზიტისას.

დღეს ალენ ჟირესი ეროვნულ სტადიონზე „დინამო" — „სამგურალის" სათასო მერვედფინალურ მატჩს დაესწრება, მოინახულებს საქართველოს ნაკრების საწვრთნელ ბაზას და მოლაპარაკებებს გააგრძელებს... ან იქნებ არც გააგრძელოს, სათქმელი უკვე ნათქვამია და კონტრაქტიც დღესვე შედგეს.

**კობა ინასარიძე**

***ბადრი ძეთილაძის ფოტოები***





## ინგლისი

| III დივიზიონი. XXXV ტური |
| --- |
| სუონსი 1:1 დონკასტერი |

## გერმანია

| II ბუნდესლიგა. XXIII ტური |
| --- |
| ლიუბეკი 0:2 უნიონი |
| უნტერჰახინგი 0:0 ტრირი |
| ბურგჰაუზენი 0:0 კარლსრუე |
| ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXI ტური |
| იურდინგენი 0:2 ესენი |
| სამხრეთ რეგიონალლიგა XXI ტური |
| ზიგენი — ზაარბრიუკენი გადაიდო |

## საფრანგეთი

| I დივიზიონი. XXVII ტური |
| --- |
| ლიონი 4:0 აიაჩო |
| მონაკო 3:1 გენგამი |
| II დივიზიონი. XXVII ტური |
| ამიენი 1:2 სენტ ეტიენი |

## ჰოლანდია

| I დივიზიონი. XXIV ტური |
| --- |
| ბრედა 0:1 ტვენტე |
| II დივიზიონი. XXVI ტური |
| კამბური 3:3 ტელსტარი |
| სიტარდი 0:2 ჰელმონდი |
| გრააფსხაპი 1:1 ვენლო |
| ვეენდამი 1:3 აპელდორნი |
| დენ ბოსხი 2:2 ემენი |
| სპარტა 2:1 იგლსი |
| ეინდჰოვენი 0:1 ჰერაკლესი |
| მაასტრიხტი 1:2 ექსელსიორი |

## ფინეთი

| ლიგის თასი. IV ტური |
| --- |
| იოკერიტი 0:3 მიუპა |
| ტამპერე 2:2 ჰაკა |
| ინტერი 0:2 ტურკუ |

## ბელგია

| იუპილერლიგა. XXV ტური |
| --- |
| ჰეუსდენი 0:1 ვესტერლო |

## პორტუგალია

| სუპერლიგა. XXV ტური |
| --- |
| პორტუ 4:1 ბელენენსეში |

მოსაცვეთი მოიცვითა – მეთექვსმეტედფინალური მატჩებით ქართულმა გუნდებმა შეკრება-დასვენება მოილიეს და სეზონიც ნელ-ნელა ხურდება – უკვე არცთუ ბუნდოვნად ჩანს, ვინ რისი მაქნისია და აჰა, თასს შემორჩენილი თექვსმეტი გუნდიც საცაა განახევრდება.

დღეს „დინამოს" წყალტუბოს „სამგურალის" დამარცხება ალენ ჟირესის თანდასწრებით მოუწევს, ხვალ კი მარილიანი მატჩების დღეა – ოთარ გაბელიას „ტორპედო" პირველ ეტაპზე „ამბროსიჩისკე" ნაშეგირდალ „სიონს" ერკინება, ხოლო მოლონიერებული „ლოკომოტივი" ვაკეში სეზონის ერთ-ერთ საინტერესო გუნდს, „თბილისს" გადაეყრება...



შარშანდელი ქუთაისური დრამა: თასის ფინალზე მეოცნებე „ტორპედო" „სიონმა" შინ დატოვა

# დავით ყიფიანის თასი

## მერვედფინალი. პირველი მატჩები. ანონსი

თბილისი. 7 მარტი. 15 საათი. ლოკომოტივი

### ლოკომოტივი — თბილისი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

## გიორგი მიქაძე: გონება გამეხსნა, შოკირებული აღარ ვარ



*თბილისის „ლოკომოტივიდან" ბევრი ფეხბურთელი წავიდა და მოვიდა, პრეზიდენტი დაიჭირეს და დასკვნებიც წამოვიდა — ზეექვსეულის „ლოკომოტივი" ველარაფრისთვის იბრძოლებსო. მაგრამ გუნდში ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი მივიდა, ზოგიც, სხვაგან წასვლას რომ აპირებდა, უკან დაბრუნდა და თუ „ლოკომოტივის" ახლანდელ შემადგენლობას გადავხედავთ, გუნდს მართლაც შეუძლია სამეულში მოხვედრისთვის ბრძოლა, თუმც ჯერ თასის მერვედფინალია. მეთექვსმეტედფინალში „გორდასთან" კი რკინიგ ზელთა გუნდიდან გიორგი მიქაძე გამოირჩა და გუშინ მას რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ*

— სეზონის დაწყების წინ თქვი, უთამაშებლობის შემდეგ ნელ-ნელა ვემსგავსები ფეხბურთელსო — ახლა რაღას იტყვი?

— უკვე გამოვედი „დინამოდან" გამოყოლილი შოკიდან — ყველაფერი უკეთესად მიდის.

— დინამოურ შოკში რას გულისხმობ?

— იმას, თუ როგორ მექცეოდნენ „დინამოში" — არ მათამაშებდნენ და მერე გამომიშვეს გუნდიდან.

— „ლოკომოტივში" ამ სეზონში მიხვედი და მეორე ეტაპზე გუნდს ზაურ სვანაძე წვრთნის — რა მოიტანა „ლოკომოტივში" ახალმა მწვრთნელმა?

— სხვანაირი ვარჯიშები და სხვანაირი მიდგომა ფეხბურთელებთან — თბილი და პირდაპირი, სვანაძის მხრიდან თვალთმაქცობა გამორიცხულია — რისი ღირსიც ხარ, ისე მოგექცევა.

— მერედა, შეუძლია ახლანდელ „ლოკომოტივს" დიდი მიზნებისთვის ბრძოლა?

— ვინც „ლოკომოტივი" ჩამოწერა, იმათ აბსოლუტურად არ ვეთანხმები — არჩილ სახვაძის, ზაზა ზირაქიშვილის და დავით დათვაძის სახით ძალიან კარგი შევსება მივიღეთ — ისინი ხომ გამოცდილი ფეხბურთელები არიან. მოკლედ, „ლოკომოტივი" ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება, მათ შორის „დინამოსთვისაც".

— „დინამოში" გვითხრეს, რომ „ლოკომოტივს" „დინამოდან" ნათხოვარი ოთხი ფეხბურთელიდან — შენ, ირაკლი ვაშაკიძე, არჩილ სახვაძე და ზურაბ მამალაძე — მხოლოდ ორის გამოყვანა შეუძლია „დინამოს" წინაალმდეგ — ასეთ შემთხვევაშიც ანგარიშგასაწევი ძალა იქნება „ლოკომოტივი" „დინამოსთვის"?

— ამის შესახებ არაფერი გამიგია. საინტერესოა, ვინ მოიფიქრა ასეთი რამ?

— „თბილისთან" სათასო მატჩზეც ვთქვათ — „ლოკომოტივის" მეტოქე თქვენსავით ახლადშექმნილი გუნდი არ არის, ძლიერი და პერსპექტიული გუნდია — შანსებს როგორ შეაფასებდი?

— ვფიქრობ, შანსები თანაბარია. „თბილისი" შესაძლოა, მომზადებით გვჯობნის, მათ უცხოური შეკრება გაიარეს, მაგრამ სხვა რამით „თბილისი" ნაღდად არ გვჯობია. რაც შეეხება ახლადშექმნილ „ლოკომოტივს", ბევრ ჩვენგანს ერთად ადრეც უთამაშია და ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ გვექნება.

— მიგაჩნია, რომ „ლოკომოტივში", ასე ვთქვათ, უკვე გაიხსენი?

— ახლა ამის კარგი შანსი მაქვს. რაც მთავარია, გონება გამეხსნა, ადრე კი ასე არ იყო — ფეხბურთის თამაში ვიცოდი, მაგრამ ვერ ვთამაშობდი.

— ადრე რატომ ვერ ახერხებდი ამას?

— იმიტომ, რომ ადრე უნდა მეფიქრა „დინამოდან" ისეთ გუნდში გადასვლაზე, სადაც ძირითადში თამაში მომიწევდა.

— ივო შუშაკის „დინამოში" ორი პრინციპული მატჩი ფაქტობრივად შენ მოიგე 2001-02 წლების სეზონის მეორე ეტაპზე — „ტორპედოსთან" და „ლოკომოტივთან" — როცა „დინამოდან" გიშვებდნენ, შუშაკთან არ გისაუბრია?

— შუშაკმა „დინამოდან" ისე გამიშვა, ჩემთვის არაფერი აუხსნია.

**დავით თავართქილაძე**

ქუთაისი. 7 მარტი. 15 საათი. ტორპედო

### ტორპედო — სიონი

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე



*უილბლო გამოდგა ეს სეზონი ქუთაისის „ტორპედოსთვის". საქართველოს სამგ ზის ჩემპიონს ოდენ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად უწევს ბრძოლა. ეჭვი არ არის, რიონისპირელები ელიტაში დარჩენას შეძლებენ, თუმც თვით ფაქტი მაინც სავალალო ჩანს. „ტორპედოს" ქვედა ექვსეულში თამაში, უბრალო ენაზე რომ ვთქვათ, არ ეკადრება*

## შანსია თუ ხავსი?

### რა დამავიწყებს იმ მწარე წუთებს...

ბედმა ქუთათურებს ერთი შანსი მაინც დაუტოვა — თასზე წარმატებული თამაშით „ტორპედოს" კვლავაც შეუძლია ევროტურნირზე გასვლა. შანსია თუ ხავსი, მალე გამოჩნდება. მანამდე კი ოთარ გაბელიას გუნდს ბოლნისის „სიონთან" მოუწევს მერვედფინალური ურთიერთობის გარკვევა.

„ტორპედო" — „სიონი" ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წყვილია ხვალინდელ მატჩებში. ძველი კონკურენტები ახალი მიზნებით — ეს ყველაფერი ორმატჩიან დუელში უნდა ჩაეტიოს.

გუშინ „ტორპედოს" ლიდერ *შოთა ბაბუნაშვილს* სწორედ ამ სათასო დუელზე ვესაუბრეთ.

**— როგორ ემზადებით „სიონთან" სათამაშოდ?**

— ძალიან სერიოზულად. ორი დღით ადრე შეკრებაზე გადავედით და მთელი ყურადღება ამ თამაშზე გადავიტანეთ. თან „სიონთან" ხომ ძველი ანგარიშებიც გვაქვს გასასწორებელი.

**— შარშანდელი თასის ნახევარფინალში მარცხს გულისხმობ?**

— აბა, მაგას რა დამავიწყებს! ფინალამდე ერთი ნაბიჯი გვაკლდა და... ერთი სიტყვით, რევანში გვინდა. მით უმეტეს, ახლა თასიღა დაგვრჩა იმედად. სხვაგვარად ევროპაში ვერ გავალთ.

**— „ტორპედოში" რამდენიმე ახალწვეული მოვიდა. შეუთამაშებლობა იგრძნობა?**

— არა. ეს პრობლემა არ არის. ძალიან კარგი ბიჭები არიან და ურთიერთობა არ გაგვჭირვებია. გუნდიც საკმაოდ გააძლიერეს.

**— რა პოზიციაზე გათამაშებს ახალი მწვრთნელი ოთარ გაბელია?**

— მარცხნიდან შუაში შევიწიე და ახლა გამთამაშებელი ვარ.

**— ტრავმირებული ხომ არავინაა გუნდში?**

— სევასტი თოდუას აწუხებდა კოჭი, მაგრამ დღეს ივარჯიშა და ალბათ ითამაშებს კიდეც. დანარჩენები ჯანზე ვართ.

**— ლაპარაკი იყო, „ტორპედოში" ფინანსური კრიზისიაო. ახლა როგორაა საქმე?**

— იდეალურად არა, მაგრამ გამოსწორდა.

**— ესე იგი, „სიონს" მზად ხვდებით...**

— ასეა. თურქმენეთშიც კარგად მოვემზადეთ და, ვფიქრობ, ცუდ ფორმაში არ ვართ. „სიონს" იმედიანად ვხვდებით.

**კახა შალამბერიძე**

თბილისი. 6 მარტი. 14 საათი. ეროვნული

### დინამო — სამგურალი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. სილაგავა (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. რუხაძე

ბათუმი. 7 მარტი. 15 საათი. დინამო

### ბათუმი — მცხეთა

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ეჯიბია

გორი. 7 მარტი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — ჰერეთი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); მ. ურუშაძე, ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ტალიაშვილი

თბილისი. 7 მარტი. 15 საათი. ეროვნული

### ამერი — სპარტაკი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ი. აფციაური (დუშეთი), დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია

ოზურგეთი. 7 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

### მერცხალი — ქობულეთი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ე. ნარმანია (ტყვარჩელი), დ. კვეტენაძე (ზესტაფონი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი

ფოთი. 7 მარტი. 15 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ს. ფიფია

ფეხბურთი
ეროვნული სტადიონი
საქართველოს თასი
7 მარტი
1/8 ფინალი. პირველი მატჩი
ამერი — სპარტაკი
თბილისი — თბილისი
დასაწყისი 15 საათზე
დასწრება უფასოა

*მალტის „ბირკირკარამ“ „ლოკომოტივი“ რომ გაგვიგდო სამარცხვინოდ უეფას თასიდან, ძველი ამბავია. საპასუხო თბილისური მატჩის შემდეგ ყველა ზე დამწუხრებული ლაშა სალუქვაძე დარჩა. ახალგაზრდა ლოკომოტიველი ისეთ დღეში იყო, შეგეცოდებოდა კაცს. „ბირკირკარასთან“ „ლოკომოტივი“ 1:0-ს იგებდა, პენალტის უფლება რომ მოიპოვა. მწვრთნელის მითითებისამებრ, თერთმეტმეტრიან ნიშნულთან ჯერაც დაულვინებელი სალუქვაძე ისე მივიდა, მუხლი არ აჰკანკალებია. მაგრამ მალტელმა მეკარემ ჩანაფიქრი გამოუცნო, დარტყმა მოიგერია, მერე კი მისმა გუნდმა გათანაბრება მოახერხა და შემდეგ ეტაპზეც გავიდა. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, სალუქვაძემ გამოცდილება შეიძინა „ლოკომოტივში“ ოთხწლიანი ბურთაობით და სტაბილურ, საიმედო მცველად ჩამოყალიბდა. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ, დეკემბერში, ლაშამ უცხოეთში რომ მოინდომა კარიერის გაგრძელება. სალუქვაძემ უკრაინის უმაღლესლიგელ ლუცკის „ვოლინს“ მიაშურა, კონტრაქტსაც წინ არაფერი ედგა, მაგრამ ეს ვარიანტი ჩაიშალა და სამი კვირის წინ რევაზ ძოძუაშვილის რეკომენდაციით ლიტვის ჩემპიონ „კაუნასს“ შეუერთდა ანთალიურ შეკრებაზე.*

*ანთალიიდან დაბრუნებული ლაშა სალუქვაძე გუშინ რედაქციაში გვესტუმრა*



# სალუქვაძე კაუნასიდან დანდის ხედავს

— „კაუნასს“ ოთხმა ქართველმა ჩააკითხეთ ანთალიურ შეკრებაზე...

— ანთალიაში რევაზ ძოძუაშვილის რეკომენდაციით გავემგზავრეთ. ძოძუაშვილმა ჩემთან ერთად ორბელაძე და პარამონოვი ჩაუყვანა „კაუნასს“, მოგვიანებით ტორპედოელი ლაშა ჭელიძეც შემოგვიერთდა.

— **რევაზ ძოძუაშვილს რა აკავშირებს „კაუნასთან“?**

— მის სიტყვას ლიტველთათვის მართლაც დიდი ფასი აქვს. ამაში თავად დავრწმუნდი. ძოძუაშვილი გუნდის კონსულტანტია და „კაუნასის“ პრეზიდენტის მრჩეველი. პრეზიდენტი „მიხიჩას“ გარეშე ნაბიჯსაც არ დგამს. არადა, ძალიან შეძლებული კაცია, შოტლანდიური „დანდი“ იყიდა და, როგორც შევიტყვე, ძოძუაშვილს „დანდის“ მწვრთნელად ამზადებს.

— **„კაუნასს“ ქართველებმა ანთალიაში გასასინჯად ჩააკითხეთ?**

— ლიტველებმა ჩვენი საქმეში ნახვა მოინდომეს და ეს ბუნებრივიც იყო. მეორე ვარჯიშზე გუნდის ბელარუსმა მწვრთნელმა სერგეი ბოროვსკიმ ერთმანეთში გვათამაშა. ახალწვეულებმა ძველებს მოვუგეთ. ქართველებმა მართლაც გამორჩეულად ვითამაშეთ. ბოროვსკი კმაყოფილი დარჩა, შეგვაქო თამაშის მერე. მალე ანთალიაში ექსგუნდა ტურნირზეც ვითამაშეთ. ბოროვსკიმ კიდევ ხუთ მატჩში გამოგვცადა და ოთხივეს გვესაუბრა, გვითხრა, მჭირდებით და ყველაფერს გავაკეთებ, ჩემს გუნდში რომ გადმოხვიდეთო.

— საეჭვოა, „კაუნასმა“ ოთხივე ქართველის აყვანა შეძლოს, რადგან ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის დებულებით, უმაღლესლიგელებს უცხოელებზე ლიმიტი აქვთ. რამდენადაც ვიცი, ოთხ უცხოელზე მეტს ვერ იყოლიებს „კაუნასი“, თანაც ამ გუნდს უკვე ჰყავს ორი ლეგიონერი.

— „კაუნასს“ უკრაინელი და ბელარუსი ლეგიონერები კი ჰყავს, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენი საკითხი მაინც დადებითად გადაწყდება. ყოველდღიური კავშირი მაქვს რევაზ ძოძუაშვილთან. „მიხიჩა“ დღეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად მოსკოვში მიდის. იქ „კაუნასის“ პრეზიდენტს შეხვდება და ერთად გადაწყვეტენ, როგორ იმოქმედონ.

— **რას აპირებენ?**

— რამდენადაც ვიცი, ლიტვის ფედერაციას უცხოელთა ლიმიტის გაზრდის წინადადებით მიმართავენ და საეჭვოა, ჩემპიონი გუნდის ხელმძღვანელთა მოსაზრება ფედერაციამ არ გაიზიაროს. ესეც რომ ვერ მოხერხდეს, ჩემი და ორბელაძის „კაუნასში“ გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია, ამის შესახებ თბილისში რომ დავბრუნდი, „ლოკომოტივშიც“ მითხრეს. კლუბი უკვე შეთანხმებულია ლიტველებთან სატრანსფერო თანხაზე.

— **დეკემბერში „ვოლინში“ რომ იყავი გასინჯვაზე, შენი ტრანსფერის საქმე ფაქტობრივად მაშინაც გადაწყვეტილი იყო...**

— „ვოლინში“ ჭიჭვეიშვილთან და ჩვენებურ მეკარე კოდალაევთან ერთად ვიყავი. გუნდთან ერთად სამი შეკრება გავიარეთ და რომ გვეგონა, ყველაფერი მოგვარებული იყო, ქართველებს გვითხრეს, ჩვენი ფორვარდი საჩკო კიევის „არსენალში“ გავყიდეთ და იმ ფულს რომ ავიღებთ, მერე შეგისრულებთ დანაპირებსო. ასეთ სიტუაციაში დარჩენას წამოსვლა ვამჯობინეთ და ლუცკს სამივე გავეცალეთ.

— **ფინანსური თვალსაზრისით რა ვითარებაა „კაუნასში“?**

— საკმაოდ მყარი. გუნდს შეძლებული პატრონი ჰყავს და პირობებს ნაღდად არ უჩივის. თანაც „კაუნასმა“ ესენგეს თასზე თამაშის შემდეგ ლიტვის ნაკრების სამი ფეხბურთელი გაყიდა, თუმც ამბიცია ძველებური აქვს, ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით თამაში სურს.

— **როგორი გუნდია „კაუნასი“?**

— ფეხბურთელები მხოლოდ ფიზიკური შესაძლებლობებით გამოირჩევიან, სხვა მხრივ ბევრიც არაფერი. ეგ არის, დისციპლინა არ აკლიათ, მწვრთნელის ყველა დავალებას გულდაგულ ასრულებენ და უსაშველოდ ბევრს დარბიან. კიდევ კარგი, სამი ვოლინური შეკრება მქონდა მარაგში, თორემ მათ ვერ ავყვებოდი, გამიჭირდებოდა.

— **თბილისში რამდენ ხანს დარჩები?**

— ლიტვაში ჩემპიონატი მარტის ბოლოს იწყება. იქამდე ჩვენი საქმეც მოგვარდება, მანამდე კი მე და ორბელაძე ისევ „ლოკომოტივში“ ვიქნებით და თასის მერვედფინალსაც ვითამაშებთ.

— **ესე იგი, „ლოკომოტივში“ დარჩენას გამორიცხავ?**

— „ვოლინის“ მაგალითმა მაჩვენა, რომ სანამ კონტრაქტზე ხელს არ მოაწერ, გადაწყვეტილი არაფერია, ამიტომაც ჯერჯერობით ისევ „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი ვარ, თუმცა, ბუნებრივია, ამ ეტაპზე ჩემთვის მომგებიანია „კაუნასში“ გადასვლა. აკაკი ჩხაიძის დაჭერის შემდეგ „ლოკომოტივში“ ვითარება გაუარესდა. ის პირობები აღარ არის, რაც გვქონდა. ფეხბურთელებს ხელფასები გაუნახევრდათ, ასეთ სიტუაციაში დარჩენა კი, რა გასაკვირია, არ მსურს. „კაუნასი“ ფაქტობრივად „დანდის“ საბაზო გუნდია და შოტლანდიაში მოხვედრის კარგი შანსიც მექნება. მერე კი იქნებ ოცნებაც ამიხდეს და ეროვნულ ნაკრებში დამიძახონ.

**პაატა ძმანტალიანი**



ლაშა სალუქვაძის ავადმოსაგონარი ბირკირკარული პენალტი

# დარასელია დაამშვიდეს: არ გეწყინოს, შენ იმუშავე

*ოსური „ალანია“ შინ, ვლადიკავკასიაში და 8 მარტის „მინსკთან“ სათასო მატჩისთვის ემზადება. „ალანიაში“ სეზონს დაიწყებს ორი ქართველი ფეხბურთელი — ვიტალი დარასელია და ლევან გვაზავა, რომლებიც მესამე დღეა, კლუბს შეუერთდნენ.*

*გუშინ ვიტალის შევეხმიანეთ და იქაურობაზე ვესაუბრეთ, თუმც მანამდე კლუბის პრესატაშეს, ანდრეი ტარაბინსაც ვესაუბრეთ და მისგან საკმაოდ მოულოდნელი ამბავი შევიტყვეთ. თუმც ჯობს, ყველაფერს რიგით მივყვეთ...*

*ვიტალი დარასელია:*



— ბაზაზე ვცხოვრობთ. სიტუაცია ნორმალურია. რომ ვთქვა, „ალანიას“ ბაზით გადავირიეო, მართალი არ ვიქნები, მაგრამ თუ მზადება გინდა, ამას უპრობლემოდ შეძლებ. რუსეთის თასის მატჩამდე ორი დღელა დარჩა და ახლა ამ შეხვედრაზეა მთელი კლუბი კონცენტრირებული. ჩვენი მეტოქე „მინიკია“ და ისიც, „ალანიას“ მსგავსად, ახალ გუნდს აკეთებს. ალბათ კარგი თამაში გამოვა.

— **„მინიკი“ ადრე შენც გიწვევდა...**

— კი, მაგრამ მე „ალანია“ ვარჩიე და ვფიქრობ, არც შევმცდარვარ.

— **ვარჯიშებზე რას იტყვი? ინტენსიობამ ალბათ იკლო...**

— შედარება არ არის. დღეში ერთხელ, ისიც დილით ვვარჯიშობთ. საერთოდ, კურბისის სამწვრთნელო ცოდნით მოხიბლული ვარ. იცის კაცმა, რა აკეთოს.

— **მწვრთნელზე ისე ლაპარაკობ, ეტყობა, კარგი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ...**

— მშვენიერი: ვლადიკავკაზში დაბრუნებისასაც ვისაუბრეთ. მითხრა, რომ ჯერ ორ-სამ მატჩში ვერ მათამაშებდა. ეს იმით ახსნა, რომ აქ რამდენიმე გამოცდილი და მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი ფეხბურთელი დახვდა და მათ ასე უცებ იგნორირებას ვერ გაუკეთებდა. ამ ფაქტს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევ, არ გეწყინოს და ძველებურად იმუშავეო, დამამშვიდა.

— **კონკურენციისთვის ხომ მანამდეც მზად იყავი...**

— კონკურენციის არასოდეს მშინებია და არც ახლა ვუფრთხი. მთავარია, ჯანზე ვიყო. ვგრძნობ, რომ ჯერ შესაძლებლობების 60 პროცენტს ვიყენებ, ცოტაც და, ბოლომდე ალვიდგენ გაცდენილს.

— **სათასო მატჩზე ანშლაგს ელიან?**

— არ ვიცი, თუმცა აქ ფეხბურთი ძალიან რომ უყვართ, აშკარაა. როგორც ვიცი, დასწრების მხრივ პრობლემა არასოდეს ჰქონიათ.

— **ვლადიკავკაზს როგორ შეეგუე?**

— თბილისი აქაურობასთან შედარებით ლას-ვეგასია. თუმცა, ეგებ ეს უკეთესიცაა. აქ მხოლოდ ფეხბურთზე და ვარჯიშზე ვიფიქრებ.

„ალანიას“ პრესატაშე *ანდრეი ტარაბინი* საკმაოდ კარგად იცნობს ჩვენს ქვეყანას და რამდენიმე ქართული სიტყვაც იცის. ყოველ შემთხვევაში, ქართულად არც სალამი დავიწყებია და არც დამშვიდობება. ქართველი ფეხბურთელების გვარებსაც ზედმიწევნით სწორად გამოთქვამდა.

— ქართველი ჟურნალისტების ყურადღება ჩვენს კლუბს არასოდეს მოჰკლებია და ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან „ალანიაში“ ყოველთვის თამაშობდნენ თქვენებურები.

— **როგორი განწყობით ხვდება „ალანია“ ახალ სეზონს?**

— საბრძოლო განწყობაა... ასეთი ოპტიმიზმი კლუბში იმ საჩემპიონო სეზონის მერე არ ახსოვთ.

— **კურბისის მოსვლით რა შეიცვალა გუნდში?**

— პირველ რიგში, საქმისადმი მიდგომა. ბუნებრივია, მას თავისი პრინციპები აქვს და ეს ყოველივე „ალანიაშიც“ დაინერგა.

— **„ალანია“ ამ სეზონს ორი ქართველით იწყებს...**

— ორით არა, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთით, ვინაიდან დარასელიას სატრანსფერო ფურცელი ჯერაც არ ჩამოგვსვლია და განაცხადში ვერ შეგვყავს. თუმცა საამისო დრო 8 მარტამდე გვაქვს და იმედია, ქართული მხარე პრობლემებს არ შეგვიქმნის. სიმართლე გითხრათ, იმაში, თუ რატომ დაიგვიანა სატრანსფერო ფურცელმა, გარკვეული არ ვარ.

— **ეს პრობლემა, ცხადია, აუცილებლად მოგვარდება, მე თქვენი აზრი მაინტერესებდა ქართველ ფეხბურთელებზე...**

— გვაზავა და დარასელია ძალიან შრომისმოყვარენი და ნიჭიერები არიან. ვიტალის თამაშმა ესენგეს თასზე ყველანი მოგვხიბლა. მას თავისუფლად შეუძლია, ახლო მომავალში გუნდის ლიდერადაც იქცეს. ის დიდი ფეხბურთელის შვილია!

— **იყო ლაპარაკი კიდევ ორი ქართველი ფეხბურთელის, ნემსაძისა და შაშიაშვილის შეძენაზეც...**

— ასეთი ვარიანტები მართლაც იყო, მაგრამ ახლა ეს საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას.

P.S. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან დარასელიას ტრანსფერის დაგვიანების თაობაზე ეს გვითხრეს: „ჟირესის ჩამოსვლასთან დაკავშირებით უამრავი საორგანიზაციო საკითხი დაგროვდა. ვიტალის ტრანსფერს შეფერხება არ ემუქრება და დღეს საღამოს თუ არა, ხვალ დილით გავაგზავნით“.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაკლიში სარკეში კოპებს ხედავს, შოთა კი თმას ივარცხნის





*ხვალ შოტლანდიაში დიდი მატჩია, მაშასადამე, „ოლდ ფირმი“ — ასოციაციის თასის მეოთხედფინალში ერთმანეთს „სელტიკი“ და „რეინჯერსი“ ერკინებიან. აქვე შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალისტი ამ შეხვედრაშივე გაირკვევა, არანაირი საპასუხო მატჩი*

თუ „რეინჯერსმა“ წააგო, ამ სეზონში უტიტულოდ დარჩება — „ჩაფრები“ ევროტურნირებსა და ლიგის თასს ჩამოშორდნენ, შოტლანდიის ჩემპიონობის შენარჩუნებას პრაქტიკული შანსიც აღარ აქვთ და „რეინჯერსის“ მენეჯერი ალექს მაკლიში ამბობს, რომ ამ „ოლდ ფირმზე“ რეინჯერსელების რეინჯერსული კარიერა ჰკიდიაო ანუ, თუ წავაგებთ, „რეინჯერსს“ ძალიან ბევრი ფეხბურთელი დატოვებსო.

მიმდინარე სეზონში „სელტიკი“ რომ „რეინჯერსზე“ მაგარია, ხვალინდელი მატჩისთვის გადამწყვეტი ფაქტორი არაა, მაგრამ ამას ისიც ემატება, რომ „სელტიკი“ შინ თამაშობს.

მაკლიშს თავი „რეინჯერსის“ მხცოვანმა მცველმა ჰენინგ ბერგმაც აატკივა. „მანჩესტერ იუნაიტედში“ ნათამაშევმა ნორვეგიელმა „რეინჯერსში“ ჰოლანდიელ მცველ ფრანკ დე ბურის ტრანსფერზე თქვა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ჰოლანდიის ნაკრებს დიკ ადვოკაატი წვრთნის და სურს, რომ ფრანკს უწყვეტი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს, რათა ევრო 2004-ზე გამოადგესო.

„ბერგი გაბრაზებულია და ახლა დიდებული შანსი მიეცა ასეთ რამეებისთვის. მაგრამ გადაწყვეტილებებს მე ვიღებ და ეს ჩემთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია“ — ასეთია მაკლიშის პასუხი.

ცხადია, მაკლიშს „რეინჯერსის“ ფანობაც წიწკნის და აქილიკებს, მწვრთნელი კი ყველაფერ ამაზე დასძენს: „ამ მომენტში ძალიან ძნელია, იყო „რეინჯერსის“ მწვრთნელი, თუმც საკუთარ თავზე არ ვწუხვარ. გაბრაზებული ვარ, ყველაფერს ვაანალიზებ, საკუთარ თავს სარკეში ვუყურებ და მინდა, რომ ჩემმა ფეხბურთელებმაც იგივე გააკეთონ“.

მაკლიშის თქმით, „სელტიკი“ კარგა ხანს არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორიც ახლაა და იქვე ბანალურად ამატებს, რომ ჩვენ მისი დამარცხება მაინც შეგვიძლიაო.

კარგი ამბავი „რეინჯერსში“ ის არის, რომ პეტერ ლოვენკრანდსი გამოჯანმრთელდა, თუმც უთამაშებელია და მისი სასტარტოში დაყენება საეჭვოა.

რა ხდება ამ დროს „სელტიკის“ ბანაკში? სელტიკელები 16 ქულით უსწრებენ ჩემპიონატში „რეინჯერსს“ და ხვალაც ისინი არიან ფავორიტები — საამსეზონოდ „სელტიკმა“ „რეინჯერსი“ უნდა დამარხოს — ასეთია შოტლანდიური აურა. თუმც „სელტიკის“ მენეჯერი მარტინ ონილი თავს იზღვევს — ეს დიდი დერბია და „სელტიკს“ ფავორიტად ნუ მიიჩნევთ, თანაც „რეინჯერსს“ ტრავმიანი ხალხი დაუბრუნდაო.

„სელტიკს“ სეზონის ბოლომდე არ ეყოლება გოლიათი უელსელი ფორვარდი ჯონ ჰართსონი — ის ტრავმირებულია. მთლად ჯანზე ვერაა კიდევ ერთი შემტევი — კრის სატონის თამაში ხვალ სათუოა. მოკლედ, „სელტიკის“ შემტევი ტრიდან ოდენ ჰენრიკ ლარსონია საღსალამათი.

და რას გვეტყვის რეინჯერსელი შოთა არველაძე ამ მატჩზე?

— ასოციაციის თასი ერთადერთი ტურნირია, რისი მოგების შანსიც შეგვრჩა ამ სეზონში და თუ რა მნიშვნელობისაა ეს მატჩი, გასაგებია.

— რაც „რეინჯერსში“ ხარ, „სელტიკისთვის“ სტუმრად ჯერ არ მოგიგიათ...

— „სელტიკს“ მაშინ მოვუგე სტუმრად, როცა „აიაქსში“ ვთამაშობდი — ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე ვამბერტოს ქუსლით საგოლე პასი მივეცი და 1:0 მოვიგეთ.

— ახლა კი მაკლიშმა თქვა, ყველა რეინჯერსელმა ჩემსავით უნდა ჩაიხედოს სარკეშიო...

— სარკეში მაშინ ვიხედები, როცა თმას ვივარცხნი, მაკლიშურად სარკეში ჩახედვა კი უკვე გვიანია, ეს ადრე უნდა გვექნა. მაგრამ „რეინჯერსს“ „სელტიკისთვის“ ერთი მატჩის მოგება შეუძლია — „სელტიკ პარკზე“ მოსაგებად მივდივართ.

— მუხლის ტკივილის გამო „რეინჯერსის“ წინა მატჩი „დანდი იუნაიტედთან“ არ გითამაშია — ახლა როგორ გრძნობ თავს?

— წამლებით ვარ — გამაყუჩებელი ნემსებით და აბებით უნდა ვითამაშო „სელტიკთან“.

**დავით თავართქილაძე**

## იტალია

პაპუნა კედია

# ინტერი ძაქ-ძაგებს

## კაკას საჩვენებელი გამოსვლა

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მოდენა | — | პარმა |
| ბრეშა | — | იუვენტუსი |
| **ხვალ** | | |
| კიევო | — | ემპოლი |
| რომა | — | ინტერი |
| ბოლონია | — | ლაციო |
| უდინეზე | — | პერუჯა |
| ანკონა | — | რეჯინა |
| მილანი | — | სამპდორია |
| ლეჩე | — | სიენა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 23 | 18 | 4 | 1 | 44:13 | 58 |
| რომა | 23 | 16 | 5 | 2 | 51:10 | 53 |
| იუვენტუსი | 23 | 16 | 4 | 3 | 47:25 | 52 |
| ლაციო | 23 | 12 | 4 | 7 | 33:23 | 40 |
| პარმა | 23 | 11 | 6 | 6 | 33:30 | 39 |
| ინტერი | 23 | 10 | 6 | 7 | 39:23 | 36 |
| უდინეზე | 23 | 10 | 6 | 7 | 28:25 | 36 |
| სამპდორია | 23 | 8 | 9 | 6 | 28:26 | 33 |
| კიევო | 23 | 8 | 5 | 10 | 25:27 | 29 |
| ბრეშა | 23 | 6 | 9 | 8 | 33:36 | 27 |
| ბოლონია | 23 | 6 | 7 | 10 | 25:33 | 25 |
| ლეჩე | 23 | 7 | 4 | 12 | 28:39 | 25 |
| მოდენა | 23 | 5 | 8 | 10 | 18:29 | 23 |
| სიენა | 23 | 5 | 7 | 11 | 28:36 | 22 |
| რეჯინა | 23 | 4 | 10 | 9 | 19:33 | 22 |
| ემპოლი | 23 | 5 | 5 | 13 | 18:39 | 20 |
| პერუჯა | 23 | 2 | 11 | 10 | 29:42 | 17 |
| ანკონა | 23 | 0 | 6 | 17 | 8:45 | 6 |

**ოცდამეოთხე** ტურის მთავარ მატჩად „რომა“ — „ინტერი“ ჩანს. „რომა“ ხომ სკუდეტოსთვის იბრძვის, ხოლო „ინტერი“ ხეირიანად ვერაფრისთვისაც ვერ იბრძვის, მაგრამ გვარწმუნებს, რომ დიდი გუნდია და მართლაც, ტრადიციის, ფინანსების, ფეხბურთელების და სხვა მაჩვენებლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ მის „სტადიო ოლიმპიკოზე“ სტუმრობას ტურის მთავარი მატჩი მართლა უნდა დავარქვათ.

„ინტერის“ თავკაცი ალბერტო ძაკერონი 18 თამაშია, რაც თანამდებობაზეა და თუ საქმე კვლავ ისე წაუვა, როგორც ბოლოხანს მიუდის, შესაძლოა, სამსახურიდან გაუშვან. მერე, ძაკერონი ძაკერონად და „რომასთან“ წაგებამ „შავ-ლურჯები“ შეიძლება მართლა იმდენად დაამდაბლოს, რომ სიტყვითაც აღარ ეთქმოდეს, ესა და ეს გუნდი ვარ, ამისა და ამისთვის ვიბრძვიო.

„რომა“ კი, ამასობაში, მთელი სეზონია დიდებულად თამაშობს. ფაბიო კაპელომ რომ დიდებული გუნდი ააწყო წინა ტურში, პარმაში გამოჩნდა. „რომასა“ და „პარმას“ შორის კლასში მართლა დიდი სხვაობა გამოვიდა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ რომაელთა ოსტატობა დიდწილად მისი კაპიტნის, ფრანჩესკო ტოტის თამაშზეა დამოკიდებული. „რომას“ ვინჩენცო მონტელას გარდა ყველა მწყობრში ჰყავს. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ მოედანს უბრუნდება ჯონათან ძებინაც, ასე რომ, ფაბიო კაპელოს მხოლოდ ტაქტიკაზე აქვს საზრუნავი. ამბობენ, რომ „ინტერის“ ნახევარდაცვაში მიხრჩობისთვის მან შესაძლოა, 3-5-2 განლაგება ამჯობინოს, თუმცა, თუ ასე არ ქნა, მაშინ დე როსის მაგივრად ერთი კაცი დაცვას მიემატება და ეს, სავარაუდოდ, ვენსან კანდელა იქნება. თავდასხმაში, ბუნებრივია, ტოტი და ანტონიო კასანო ითამაშებენ.

„ინტერს“ დისკვალიფიკაციის გამო არ ეყოლება დეიან სტანკოვიჩი და ალვარო რეკობა. თავდასხმაში, სავარაუდოდ, ადრიანო და კრისტიან ვიერი ითამაშებენ.

„რომასა“ და „ინტერის“ დაპირისპირება კვირა საღამოს, ქართული დროით შუაღამის პირს, თორმეტის ნახევარზე დაიწყება და გუნდებს უკვე ეცოდინებათ, რა ჰქნეს სკუდეტოს სხვა პრეტენდენტებმა, მაგალითად ლიდერმა „მილანმა“, რომელიც კვირასვე, ოღონდ შუადღისას „სამპდორიას“ მასპინძლობს.

„მილანს“ უბრუნდება კაკა, რომელიც წინა ტურში „ლაციოსთან“ დისკვალიფიკაციის გამო ვერ თამაშობდა, თუმცა, როგორც ამბობენ, კარლო ანჩელოტის საშუალება მიეცემა თუ არა, მას მოედნიდან გაიყვანს, რათა ჩემპიონთა ლიგაში „სპარტასთან“ საბრძოლველად დაასვენოს.

გენუელები „სან სიროზე“ ათამაშებენ ყველას, ვინც კი მათში საუკეთესოდ ითვლება იქნება აიმო დიანა და კრისტიანო დონიც, რომელმაც წინა ტურში სეზონის მეორე პენალტი გააფუჭა. დაცვაში ბრუნდება გამოჯანმრთელებული ჯულიო ფალკონეც.

„იუვენტუსი“ კი ბრეშაში ჩადის, სწორედ იმ ქალაქში, რომლის გუნდმაც ერთი კვირის წინ „სან სიროზე“ „ინტერი“ დასცა და თან შთამბეჭდავად. ახლა, წარმოიდგინეთ რაზე ოცნებობენ ბრეშელები, რომელთაც კალენდარმა ზედიზედ მეორე სახელოვანი მოწინააღმდეგე უძღვნა და თან, კაცმა რომ თქვას, ისიც არცთუ საუკეთესო ფორმაში მყოფი.

მერედა, „სან სიროზე“ „ბრეშამ“ რობერტო ბაჯოს გარეშე მოიგო, ხოლო „იუვენტუსთან“ ბაჯო ალბათ იქნება, თუმცა, რომ ვერ ითამაშოს, არც ეგ იქნება გასაკვირი.

„შავ-თეთრებს“, ამთავითვე ცხადია, რომ არ ეყოლებათ დაშავებულნი დავიდ ტრეზეგე და ენცო მარესკა. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გაუვიდა ჩეხ პაველ ნედვედს, რომელიც ალესანდრო დელ პიეროს და მარკო დი ვაიოს წყვილს მხარში ამოუდგება — ეს მატჩი დღეს, ჩვენი დროით ღამის თორმეტის ნახევარზეა.

ხოლო მეოთხე ადგილზე მყოფი და წინა ტურში „მილანთან“ დამარცხებული „ლაციო“ ბოლონიაში თამაშობს. ბოლონიაში ვერ ითამაშებს „მილანთან“ შეხვედრაში გაფრთხილებული და დისკვალიფიცირებული ფაბიო ლივერანი, ხოლო დემეტრიო ალბერტინი და გუერინო გოტარდი დაშავებულნი არიან.

„ბოლონიას“ ალბათ, არ ეყოლება დაშავებული ჯუზეპე სინიორი, წლების წინ და წლების განმავლობაში „ლაციოს“ დიდი ვარსკვლავი, ხოლო რომაელთა მწვრთნელმა, რობერტო მანჩინიმ 1981 წელს თავისი პირველი მატჩი, ნუ გაგიკვირდებათ და, სწორედ „ბოლონიაში“ ითამაშა.



ალბერტო ძაკერონის ვიერი-ადრიანოს წყვილი თუ უშველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი

ლადო ხომერიკი

# დავარტყათ წაქცეულს

## ირურეტამ გაბზარულის გატეხვა მოინდომა

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რასინგი | — | რეალი |
| სელტა | — | ესპანიოლი |
| ოსასუნა | — | სოსიედადი |
| ვალენსია | — | დეპორტივო |
| **ხვალ** | | |
| ალბასეტე | — | ბეტისი |
| ბილბაო | — | ვალიადოლიდი |
| ატლეტიკო | — | მურსია |
| ბარსელონა | — | მალიორკა |
| სევილია | — | ვილიარეალი |
| სარაგოსა | — | მალაგა |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 26 | 18 | 5 | 3 | 53:28 | 59 |
| ვალენსია | 26 | 15 | 6 | 5 | 47:20 | 51 |
| დეპორტივო | 26 | 15 | 5 | 6 | 43:20 | 50 |
| ბარსელონა | 26 | 13 | 7 | 6 | 42:30 | 46 |
| ბილბაო | 26 | 11 | 8 | 7 | 33:29 | 41 |
| ატლეტიკო | 26 | 11 | 7 | 8 | 32:31 | 40 |
| ოსასუნა | 26 | 9 | 11 | 6 | 26:22 | 38 |
| ბეტისი | 26 | 9 | 10 | 7 | 34:28 | 37 |
| ვილიარეალი | 26 | 10 | 6 | 10 | 36:35 | 36 |
| სევილია | 26 | 9 | 8 | 9 | 36:28 | 35 |
| მალაგა | 26 | 11 | 2 | 13 | 36:40 | 35 |
| რასინგი | 26 | 9 | 6 | 11 | 33:39 | 33 |
| სოსიედადი | 26 | 8 | 7 | 11 | 30:37 | 31 |
| სარაგოსა | 26 | 8 | 5 | 13 | 29:37 | 29 |
| ვალიადოლიდი | 26 | 7 | 8 | 11 | 29:38 | 29 |
| ალბასეტე | 26 | 8 | 5 | 13 | 25:34 | 29 |
| მალიორკა | 26 | 8 | 5 | 13 | 29:44 | 29 |
| სელტა | 26 | 6 | 9 | 11 | 35:46 | 27 |
| ესპანიოლი | 26 | 7 | 2 | 17 | 26:48 | 23 |
| მურსია | 26 | 2 | 10 | 14 | 22:42 | 16 |

დღეს „მესტალიაზე“ „ვალენსია“ და გალისიური „დეპორტივო“ შეერკინებიან ერთმანეთს.

„რეალთან“ 24-ე ტურში დაკარგული სამი ქულის შემდეგ „ვალენსია“ მძიმე შოკშია, თუმც მასპინძლები „დეპორთან“ ჭიდილში მშობლიურ არენაზე ოდნავ გამხნევებულნი მაინც გავლენ — ტრავმა მოიშუშა და ფორმაშია კაპიტანი დავიდ ალბელდა, ვინც მარჯვენა ფეხის ტკივილის გამო მნიშვნელოვანი მატჩები გამოტოვა. „ალბელდას დაბრუნება ჩვენს დაცვას გააძლიერებს“ — განაცხადა ბენიტესმა. მომხვდურთა ხავიერ ირურეტა ოპტიმისტურადაა განწყობილი. „ვიცით, რომ „ვალენსია“ საუკეთესო ფორმაში არაა, ჩვენ კი ფსიქოლოგიურად წამხდარ გუნდთან წასაგებად არ ჩავალთ, „დეპორის“ მიზანი მოგებაა“. რაც შეეხება განვლილ თამაშებს, 1993-94-ის სეზონიდან მოყოლებული, გალისიელთა ბოლო 10 ვალენსიური ვიზიტი 4-გზის დასრულდა სტუმართა გამარჯვებით, ამდენჯერვე მოიგეს მასპინძლებმა და ორჯერაც დაზავდნენ.

„ბარსელონამ“ მიუხედავად საამსეზონო ცუდი სტარტისა საქმის გამოსწორება მაინც მოახერხა. პირენეელი კალმოსნებისა თუ მტრულად განწყობილი ინჩასთა მიერ ადრე გაქიაქებულმა „ბარსამ“ თითქმის შეუძლებელი შეძლო. პრიმერას გრანდმა ზედიზედ 6 შეხვედრაში გაიმარჯვა და თუ ხვალ „კამპ ნოუზე“ „მალიორკასაც“ დააჩოქებს, ამ სეზონის რეკორდსმენი გახდება.

კეირუშის „რეალი“ სანტანდერის „ელ სარდინეროზე“ ლუკას ალკარასის „რასინგის“ სიჩაუქეს მოსინჯავს. სამეფო კლუბს დააკლდებიან ტრავმირებული მიჩელ სალგადო, ფრანსისკო პავონი და კაპიტანი რაულ გონსალეს ბლანკო. დამხვდურებს კასილასის კარიბჭის შესალეწად ჩვეულ მოიერიშეთა სახიფათო სამეული ეყოლებათ — ბენაიუნი, ბოდჟიპო და ხავი გერერო. თან ერთი საყურადღებო ფაქტიც გავითვალისწინოთ — კასტილიურ გრანდს დიდი ხანია, კანტაბრიაში არ მოუგია...



პირველ წრეში კურო ტორესის „ვალენსია“ ლა კორუნიაში 1:2 დამარცხდა

## გერმანია

ვაჟა ხუციშვილი



# მაგათმა ბუნდესლიგით ისადილა

| XXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| გლადბახი | — | ჰანოვერი |
| ლაუტერნი | — | აინტრახტი |
| შალკე | — | ფრაიბურგი |
| დორტმუნდი | — | შტუტგარტი |
| ლევერკუზენი | — | ბაიერნი |
| ჰანზა | — | ჰამბურგი |
| ჰერტა | — | ბოხუმი |
| **ხვალ** | | |
| მიუნხენი | — | ვერდერი |
| ვოლფსბურგი | — | კიოლნი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 22 | 16 | 4 | 2 | 54:21 | 52 |
| ბაიერნი | 22 | 13 | 6 | 3 | 47:22 | 45 |
| შტუტგარტი | 22 | 11 | 7 | 4 | 27:10 | 40 |
| ბოხუმი | 22 | 10 | 7 | 5 | 36:24 | 37 |
| ლევერკუზენი | 22 | 10 | 6 | 6 | 39:28 | 36 |
| დორტმუნდი | 22 | 10 | 4 | 8 | 36:30 | 34 |
| შალკე | 22 | 8 | 9 | 5 | 26:23 | 33 |
| ჰამბურგი | 22 | 8 | 6 | 8 | 31:35 | 30 |
| ვოლფსბურგი | 22 | 9 | 1 | 12 | 40:42 | 28 |
| ფრაიბურგი | 22 | 8 | 4 | 10 | 31:46 | 28 |
| ჰანზა | 22 | 7 | 6 | 9 | 32:32 | 27 |
| მიუნხენი | 22 | 7 | 5 | 10 | 24:33 | 26 |
| ჰანოვერი | 22 | 6 | 6 | 10 | 38:50 | 24 |
| აინტრახტი | 22 | 6 | 5 | 11 | 25:33 | 23 |
| ჰერტა | 22 | 5 | 7 | 10 | 23:42 | 22 |
| ლაუტერნი | 22 | 7 | 3 | 12 | 23:35 | 21 |
| გლადბახი | 22 | 5 | 6 | 11 | 23:33 | 21 |
| კიოლნი | 22 | 4 | 4 | 14 | 17:33 | 16 |
| „კაიზერსლაუტერნს“ დაკლებული აქვს 3 ქულა | | | | | | |

ძალუძს თუ არა „ბაიერნს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლა, დღეს ლევერკუზენში გამოჩნდება. მიუნხენელებს მომავალ კვირაში მადრიდის „რეალთან“ სტუმრობა ელით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბუნდესლიგას წააუყრუონ. „ბაიერნის“ მეტოქე „ბაიერია“, რომელმაც ოტმარ ჰიცფელდს შვილივით ნაზარდი ორი ფეხბურთელი — მიხაელ ბალაკი და ზე რობერტო ჩააბარა.

ლევერკუზენელთა თავკაცი კლაუს აუგენტალერი ოდესღაც „ბაიერნში“ თამაშობდა და შვიდჯერ გერმანიის ჩემპიონობა მოუგია, თუმც ყოფილი გუნდი მწვრთნელობაში ჯერ არ დაუმარცხებია.

აუგენტალერის „ბაიერმა“ ბუნდესლიგა რიხით დაიწყო და დიდი ნაბიჯებით იარა, მაგრამ მეორე წრიდან აიჭრა. ოტმარ ჰიცფელდის „ბაიერნმა“ პირიქით, ზამთრის დაწყებისას უმატა. მეორე ადგილზე გამოიჭიმა და „ვერდერთან“ სხვაობა საგრძნობლად შეამცირა.

მასპინძლებს ჟუანი დაუბრუნდებათ, ლუსიოს თამაში კი ტრავმის გამო საეჭვოა. მიუნხენელებს ლიზარაზუ და დემიკელისი არ ეყოლებათ, ყოფილი თანაგუნდელების წინაალმდეგ ბალაკი და ზე რობერტო ითამაშებენ.

დორტმუნდის „ბორუსიას“ გასულ კვირას გამთამაშებელი ტომაშ როსიცკი დაუშავდა — ჩეხს „ვერდერთან“ შეხვედრაში ხელი მოსტყდა და თვენახევარი მოედანს ჩამოშორდა. „შავ-ყვითლები“ ფელიქს მაგათის გუნდს უმასპინძლებენ. „შტუტგარტის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს 12-მატჩიანი მოუგებელი სერიის შეწყვეტა სურთ და ღია ცის ქვეშ ერთობლივი სადილი მოაწყვეს, რომელზეც მწვრთნელმა ნავსის გატეხვის აუცილებლობაზე ისაუბრა.

მიონხენგლადბახის „ბორუსია“ ჰანოვერელებს დაუხვდება. სტუმართა მწვრთნელ რალფ რანგნიკს წყალი შეუდგა და გერმანული მედიის ცნობით, კიდევ ერთმა წაფორხილებამ შესაძლოა, პოსტი დაატოვებინოს.

„კაიზერსლაუტერნი“ და „აინტრახტი“ ერთ ბედ ქვეშ არიან — ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვიან, ამიტომ მათი ჯახი ორივე გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვანია. დამხვდურებს დისკვალიფიცირებული ჟოზე დომინგუში და თომას რიდლი დააკლდებათ.

ოდესღაც თანაგუნდელი ქართველები გელზენკირხენში ფრონტის მოპირისპირე მხარეებზე განლაგდებიან. შალკელი ლევან კობიაშვილი ფრაიბურგელი ალექსანდრე იაშვილის წინაალმდეგ. ლევან ცქიტიშვილი დისკვალიფიცირებულია, „შალკეს“ კი ანიბალ მატელანი და გუსტავო ვარელა არ ეყოლება.

როსტოკში ჩასულ „ჰამბურგს“ კვლავ ვერ დაეხმარება ტრავმირებული მეკარე მარტინ პიკენჰაგენი. სტუმრებს ნახევარმცველები, კრისტიან რანი და სერგი ბარბარესიც გამოაკლდებიან.

ბუნდესლიგის ლიდერი „ვერდერი“ „ლომებს“ ეწვევა. ბრემენელ „მუსიკოსებს“ მიუნხენში ნოტები ერევათ, რადგან ბოლო ოთხი სტუმრობიდან „1860“-თან ოთხჯერვე დამარცხდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# FIFA 100
# პელეს სია ისტორიის მუზეუმში

***ლონდონის ისტორიის მუზეუმში ხუთშაბათ საღამოს შეიკრიბა დღევანდელი და გუშინდელი ფეხბურთის ელიტა, რომელმაც ფიფას მოახლოებული საუკუნოვანი იუბილე დიდი ზეიმით აღნიშნა. ყველანი ხარობდნენ და ერთმანეთს ეხმატკბილებოდნენ***




ლონდონურ ყეენობაზე: პელეს პრიზი გორდონ ბენქსს, ტიერი ანრის, ჯორჯ ბესტს და ახალდაქორწინებულ ლოთარ მათეუსსაც ერგოთ





ზეიმის ღერძი ის იყო, რომ პელეს სია გამოქვეყნდა. პელეს ასი საუკეთესო ცოცხალი ფეხბურთელის დასახელება შესთავაზეს. მან სია 125 კაცამდე გაზარდა და შიგ 15 ბრაზილიელი ჩაწერა, რომელთაც 14-14 იტალიელი და ფრანგი მიაყოლა. დასახელებულთაგან 50 დღეს მოთამაშე ვარსკვლავია. ბრაზილიელთა შორის არიან რონალდო, კარლოს ალბერტო, ჯალმა და ნილტონ სანტოსები და რიველინო, თუმცა, არ არიან გერსონი, ტოსტაო და ჟაირზინიო, ამათგან პირველმა ბრაზილიურ ტელეარხზე პელეს სიას დასცინა და გადახია. ფრანგებსა და იტალიელებს მოჰყვება 13 ჰოლანდიელი, იოჰან კრუიფისა და რუუდ ვან ნისტელროის თამადობით. ამათ კი მოსდევს 10-10 გერმანელი და არგენტინელი.

ცოცხალთა შორის, ცხადია, მოხვდნენ ალფრედო დი სტეფანო, ფერენც პუშკაში, რაიმონ კოპა და ჟიუსტ ფონტენი, ასევე, გორდონ ბენქსი და ფრანც ბეკენბაუერი.

თავიდან პელეს 300-კაციანი სია შეუდგენია და მერე გაუცხრილავს, მაგრამ 100 კაცში მაინც ვერ ჩაუტევია. „ას კაცს მარტო ბრაზილიიდან“ დავასახელებდი“ — თავი იმართლა პელემ.

დამატებული 25 ადგილი პელეს იმისთვის დასჭირვებია, რომ ზინედინ ზიდანი და დავიდ ტრეზეგე ჩაეწერა. იმავდროულად სიაში არიან კენი დალგლიში და როი კინი, რა თქმა უნდა, ჯორჯ ბესტიც. იქვეა ორი ფეხბურთელი ქალიც: მიშელ აკერსი და მია ჰემი. ყველა ჩამოთვლილს, უფრო სწორად კი იმათ, ვინც ლონდონს ჩავიდა, პელეს პრიზი ერგო.

თავად ფიფა კი 100 წლისა მაისში მოიყრება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ისინი და ჩვენ, დანარჩენები
## ბობი რობსონის მოგზაურობა წარსულში

*სერ რობერტ რობსონი 1933 წლის 18 თებერვალს დაიბადა დერჰემის საგრაფოს ქალაქ სეკრისტოუნში. თამაშობდა „ფულემში“ და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში“. ინგლისის ჩემპიონატში 538 მატჩში 133 გოლი გაიტანა. ინგლისის ნაკრებში 20 მატჩი ჩაატარა და ოთხი გოლი გაიტანა. წვრთნიდა „ვანკუვერ როიალზს“, „ფულემს“, „იფსვიჩ თაუნს“, პსვ-ს, „პორტუს“, „სპორტინგს“, „ბარსელონას“, ასევე ინგლისის ნაკრებს. ახლა „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელია. მწვრთნელობისას ორ-ორჯერ მოუგია პორტუგალიის და ჰოლანდიის ჩემპიონატები ინგლისის, პორტუგალიის და ესპანეთის თასები, უეთასა და თასების მფლობელთა თასი, ქვემოთ, ბობი რობსონი საკუთარ თავსა და კარიერაზე*

— 1950 წელი იყო, „ფულემში“ რომ ამიყვანეს, მაშინ 17 წლისა ვიყავი. იმ დროს მწვრთნელის ფუნქცია ცოტა არ იყოს, გაუგებარი იყო. მთავარი იყო, 90 წუთი მძიმე მოედანზე გაგეძლო და არაქათი არ გაგცლოდა. თან საშინელი ბურთებით ვთამაშობდით. ვარჯიშისას ბურთს თითქმის ვერ ვეკარებოდით — ეს ახლაა, ყველას თავისი ბურთი რომ აქვს და რამდენიმე ათეული ბურთი იქვე დევს. მაშინაც კი, როცა კარში დარტყმაზე ვვარჯიშობდით, რვა კაცზე ერთ ბურთს გვაძლევდნენ. დაარტყამდი და მთელი ნახევარი საათი უცდიდი, შენი რიგი ისევ როდის მოვიდოდა. ვარჯიშზე ძირითადად დავრბოდით — მოედნის გარშემო ხუთი წრე სირბილით, ერთი სიარულით. მერე სამი წრე სირბილით, ერთი სიარულით. ბოლოს, ორი წრე სირბილით, ერთი სიარულით. მთელი ვარჯიშიც ეს იყო.

— ტაქტიკაზე საერთოდ არავინ ფიქრობდა. ფაქტობრივად, პირველი ნაღდი მწვრთნელი ინგლისში უოლტერ უინტერბოტომი იყო. სერ უოლტერმა პირველმა დაიწყო თამაშების გარჩევა და ტაქტიკაზე ფიქრი. ის ბრწყინვალედ კითხულობდა თამაშს და თავისი იდეების ფეხბურთელებამდე მიტანის საოცარი ნიჭიც ჰქონდა. 60-იანი წლების მწვრთნელებმა თუ რამე იცოდნენ, სერ უოლტერისგან ჰქონდათ ნასწავლი.

— ფაქტობრივად, მწვრთნელს ერთადერთი ფუნქცია ჰქონდა — თვალყური ედევნებინა, ვინმეს ნაკლები რომ არ ერბინა. უკვე მაშინ ვხვდებოდი, რომ წვრთნისადმი ამგვარი დამოკიდებულება სისულელე იყო, მაგრამ რას გავაწყობდი. კიდევ კარგი, გამიმართლა და „ვესტ ბრომვიჩში“ გადავედი, სადაც ნაღდი მწვრთნელი მყავდა, სერ უოლტერის ერთ-ერთი მოწაფე ვიკი ბექინგემი. მის ხელში უამრავი რამ ვისწავლე. სტანდარტული სიტუაციების გამოყენებაზე გვავარჯიშებდა, ფლანგურ ჩაწოდებებზე გვამუშავებდა.

— „ვესტ ბრომვიჩში“ ბექინგემთან ექვსი წელი გავატარე და მერე მასთან ერთად „ფულემში“ დავბრუნდი. ბექინგემს და სერ უოლტერს ჩემს მასწავლებლებად ვთვლი. სწორედ სერ უოლტერმა გვირჩია მე და დონ ჰაუს სამწვრთნელო საქმე გვესწავლა. „რას აპირებთ, თამაშს თავს რომ დაანებებთ?“ — გვკითხა მან. მაშინ 27 წლისანი ვიყავით, ინგლისის ნაკრებში ვთამაშობდით და არ ვფიქრობდით, ოდესმე სხვა პროფესიის არჩევა თუ დაგვჭირდებოდა. მაგრამ სერ უოლტერმა ხომ იცოდა, რომ ასე არ იყო. ამიტომაც დაგვარწმუნა, სამწვრთნელო სკოლაში შევსულიყავით და დიპლომები მანამდე აგვეღო, სანამ ფეხბურთელის კარიერას დავასრულებდით. ჩვენც დავუჯერეთ და ჯერ კიდევ ფეხბურთელები ვიყავით, ჯიბეში მწვრთნელის დიპლომები რომ გვედო. სხვათა შორის, ფეხბურთელობის დროსვე დავიწყე მწვრთნელობა, ოქსფორდელ სტუდენტებს საათში ორ გირვანქად ვავარჯიშებდი. როგორ წარმოგიდგენიათ, ახლანდელი ინგლისის ნაკრების რომელიმე მოთამაშე ამას გააკეთებს?

— ინგლისის ნაკრებში ხუთი წელი ვთამაშობდი მარჯვენა გარემარბად, მაგრამ როცა სერ უოლტერი 4-2-4 სქემაზე გადავიდა, ნახევარდაცვაში გადავინაცვლე და ჯონი ჰეინსს შევუწყვილდი. ამ სქემით უნგრელები თამაშობდნენ და როცა „უემბლიზე“ 6:3 მოგვიგეს, ინგლისში მხოლოდ ამის მერე დაფიქრდნენ, რომ სწორი ტაქტიკით თამაშით მნიშვნელოვანი იყო.

როცა ნაკრებში ალფ რამსეი მოვიდა, გადაწყვიტა, რომ ერთი თავდამსხმელის უკან დაწევით, ნახევარდაცვაში უპირატესობას მოვიპოვებდით. ასეც მოხდა და მერე ბევრმა მიმართა ჩვენეულ 4-3-3 სქემას. ამის მერე რამსეიმ კიდევ ერთი თავდამსხმელი დახია უკან, 4-4-2-ზე გადავიდა და ნახევარდაცვაში ისევ უპირატესობა მივიღეთ. 4-4-2 დღეს ყველაზე გავრცელებული და ეფექტური სქემაა მსოფლიოში.

— ჩემი პირველი სამენეჯერო გამოცდა „იფსვიჩში“ შედგა. მაშინ თითქმის არანაირი გამოცდილება არ მქონდა და კლუბში ამას მშვენივრად ხვდებოდნენ: პირველი რვა თვე უკონტრაქტოდ მამუშავეს, მაგრამ მერე, როცა გამოცდილება შევიძინე, მთელი ათი წლით გამიფორმეს კონტრაქტი. იცით, რითი ვიყავი კმაყოფილი? ნებისმიერი იდეის განხორციელება შემეძლო. ვარჯიშებსაც მე ვატარებდი, ტაქტიკაზეც ვფიქრობდი და იმავდროულად ნიჭიერ ჭაბუკებსაც თავად ვეძებდი.

— მოკლედ, მუშაობას სერიოზულად მოვკიდე ხელი. ალბათ, გსმენიათ, რომ 1981 წელს „იფსვიჩი“ ევროპის საუკეთესო გუნდად აღიარეს. იმ წელს უეფას თასი მოვიგეთ და ინგლისის ჩემპიონობაც უნდა მოგვეგო, მაგრამ შემსრულებლები გვაკლდა. ორი კარგი ფეხბურთელის დამატებაც რომ შეგვძლებოდა, უეჭველად ჩემპიონები გავხდებოდით, მაგრამ საამისოდ ფული არ გვქონდა და მეორე ადგილზე გავედით. ერთი სიტყვით, მაშინაც ისე იყო, როგორც ახლაა — იყვნენ სუპერკლუბები და ვიყავით ჩვენ, დანარჩენები.



# მოკლე კაბა და მოკლე კაბა...

## ცხრა ლესტერელის ლაშქრობა სამ აფრო-გერმანელზე

*იმის შესახებ, რაც ესპანეთის სამხრეთით, მურსიაში, ლა მანგაში მოხდა, შეიძლება ჩვეულებრივი, ტრადიციული თხრობის წესით გიამბოთ და შეიძლება მოწმეთა სიტყვებით ან მათზე დაყრდნობით. ვფიქრობთ, მეორე ჯობია, ვინაიდან ასე უფრო ლაკონურად და საინტერესოდ გამოვა, თორემ საავენტოების ბრტყელ-ბრტყელი ენით, იცოცხლე, მთელი საგის გამოცხობა შეიძლება. პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ*



ეროვნული ბიბლიოთეკა

| 5309 | ჰერტა-ბოხუმი | 1,65 | 1,95 |
| 5310 | მიუნხენი-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 5311 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1,65 | 1,95 |
| 5312 | მოდენა-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 5313 | ბრეშა-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5314 | ანკონა-რეჯინა | 1,65 | 1,95 |
| 5315 | ბოლონია-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5316 | კიევო-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 5317 | ლეჩე-სიენა | 1,65 | 1,95 |
| 5318 | მილანი-სამპდორია | 1,7 | 1,9 |
| 5319 | უდინეზე-პერუჯა | 1,65 | 1,95 |
| 5320 | რომა-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 5321 | რასინგი-რეალი | 1,6 | 2,0 |
| 5322 | სელტა-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 5323 | ოსასუნა-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 5324 | ვალენსია-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5325 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,65 | 1,95 |
| 5326 | სარაგოსა-მალაგა | 1,65 | 1,95 |
| 5327 | ბარსელონა-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 5328 | ალბასეტე-ბეტისი | 1,65 | 1,95 |
| 5329 | სევილია-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 5330 | ატლეტიკო-მურსია | 1,65 | 1,95 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5102 | ბირმინგემი-ბოლტონი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5103 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5104 | კაიზერსლაუტერნ-აინტრახტი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5105 | შალკე-ფრაიბურგი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5106 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5107 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5108 | ჰანზა-ჰამბურგი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5109 | ჰერტა-ბოხუმი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5110 | მიუნხენი-ვერდერი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5111 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5112 | მოდენა-პარმა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5113 | ბრეშა-იუვენტუსი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5114 | ანკონა-რეჯინა | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5115 | ბოლონია-ლაციო | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5116 | კიევო-ემპოლი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5117 | ლეჩე-სიენა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5118 | მილანი-სამპდორია | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 15,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5119 | უდინეზე-პერუჯა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5120 | რომა-ინტერი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5121 | რასინგი-რეალი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5122 | სელტა-ესპანიოლი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5123 | ოსასუნა-სოსიედადი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5124 | ვალენსია-დეპორტივო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5125 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5126 | სარაგოსა-მალაგა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5127 | ბარსელონა-მალიორკა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5128 | ალბასეტე-ბეტისი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5129 | სევილია-ვილიარეალი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5130 | ატლეტიკო-მურსია | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 06.03 18.30 | 6001 | გერმანია ბლ (XXIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 06.03 21.00 | 6002 | იტალია A (XXIV) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 06.03 22.30 | 6003 | ესპანეთი Iდ (XXVII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 05.03 23.00 | 6004 | საფრანგეთი Iდ (XXVII) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 05.03 01.30 | 6005 | პორტუგალია სლ (XXV) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 05.03 23.00 | 6006 | ჰოლანდია Iდ (XXIV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 05.03 23.30 | 6007 | ბელგია Iდ (XXV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

# გავიზრდებით, ვისწავლით მოდის მუშტის გამქნევი თაობა

*ხორვატიული ევროპის ჩემპიონატიდან ორი მედლით დაბრუნებულმა საქართველოს მოკრივეთა ნაკრებმა გუშინ სპორტის დეპარტამენტის დარბაზში პრესკონფერენცია გამართა. პულაში ნიკა იზორიამ (51კგ) ვერცხლი, კონსტანტინე კუპატაძემ (57კგ) კი ბრინჯაო აიღო. ჟურნალისტთა ინტერესი პრიზიორებთან და ნაკრების მწვრთნელთან ერთად ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი კანდელაკმაც დააკმაყოფილა. მისი სიტყვებით, საქართველოს ნაკრებმა პირველი ნრიდანვე მიიქცია ყურადღება და დარბაზის მხარდაჭერაც მთელი ტურნირის განმავლობაში იგრძნობოდა. ორი მედალი პრეზიდენტმა ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდისთვის კარგ შედეგად მიიჩნია. უკმაყოფილო არც სხვათა გამოსვლით დარჩენილა, ყველამ მაქსიმუმი გააკეთა და ბრძოლას ჩემპიონ-პრიზიორებთან გამოეთიშაო*

*„ჩვენი ერთადერთი შეცდომა ევროპის ჩემპიონატზე ვლადიმერ ჭანტურიას წაყვანა იყო — თქვა კანდელაკმა — ხორვატიამდე მას ფილტვების ანთება ჰქონდა. მაინც გავრისკეთ, ევროპა ვაჩხუბეთ და პირველი შეხვედრაც მოიგო, თუმც ავადმყოფობა შეუბრუნდა და ექიმებმა რინგზე ასვლის ნება აღარ მისცეს. მისი ათენში მოხვედრა უკვე გამორიცხულია. დარჩენილ სალიცენზიო ტურნირებში მძიმე წონაში გაგა ბოლქვაძე გამოვა. საქართველოში კრივი აღმავლობის გზაზეა. 2-3 წელი იყო ჩავარდნა, რომელიც უკვე გადალახულია. მოკრივე 21 წლიდან ყალიბდება. ჩვენი ნაკრების წევრთა უმეტესობას კი ამ ასაკამდე ჯერ არც მიუღწევია.“*

*კრივის ფედერაციის თავკაცმა მწვრთნელ თენგიზ მესხაძესთან და იზორია-კუპატაძესთან ერთად ქართველი მსაჯის დავით შაქარაშვილის დამსახურებაც არ დაივიწყა. ივი ხორვატიაში ტურნირის საუკეთესო მსაჯებში შეუყვანიათ.*

*კანდელაკის სიტყვის შემდეგ თავიანთი სათქმელი მწვრთნელ-შეგირდებმაც თქვეს. მათ ინტერვიუებს აქვე გთავაზობთ.*



თენგიზ მესხაძე და მისი რჩეული შეგირდები ნიკოლოზ იზორია და კონსტანტინე კუპატაძე

გურამ [illegible] ფოტო

### თენგიზ მესხაძე

**— პრესკონფერენციიდან ჩანდა, რომ ხორვატიული შედეგით კმაყოფილი ხართ.**

— ევროპის ჩემპიონატზე ორი მედლის აღება, თან ასეთი ახალგაზრდული შემადგენლობით, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მაგრამ მადა ჭამაში მოდისო და მეტიც გვინდა. გუნდურ ჩათვლაში უკან ბევრი საკრივო ქვეყანა მოვიტოვეთ.

**— იზორიასა და კუპატაძეზე თავიდანვე ამყარებდით იმედებს?**

— მიუხედავად ასაკისა, ამ ბიჭებმა გარკვეული ეტაპების გავლა მოასწრეს. დღევანდელი ნაკრები 2002 წლიდან ყალიბდება და ტურნირიდან ტურნირამდე იზრდება. 51 და 57 კილოგრამების გარდა ლიცენზიებს ველოდი 60, 64 და 69 კილოგრამებშიც. საერთოდ კი ამ ორ მედალში მათ მომგებებზე არანაკლები წვლილი მთლიანად გუნდს მიუძღვის. ბიჭები ისე ამხნევებდნენ ერთმანეთს და ისეთი ატმოსფერო იყო შექმნილი, ნახევარი ბრძოლა უკვე მოგებული გვქონდა. მარტო იზორია და კუპატაძე რომ წაგვეყვანა, ამ შედეგებისთვის შეიძლება ვერც მიეღწიათ.

**— რა რეზონანსი მოჰყვა ჩვენებურთა გამოსვლებს. ტრიბუნების მხარდაჭერას თუ გრძნობდით?**

— პირველი სიურპრიზი სპეციალისტებისთვის ის იყო, ცხრა ქართველი მოკრივიდან, შვიდმა გამარჯვებით რომ დაიწყო. სხვა ნაკრებებიც კი განსაკუთრებულად გვქომაგობდნენ. გარშემო მყოფთაგან პრობლემა არ შეგვქმნია.

**— პრიზიორების გამოსვლას როგორ შეაფასებდით, უკეთესი შედეგის აღებაც ხომ არ შეეძლოთ?**

— იზორიას ვერცხლი ჩვენთვის ოქროდ ფასობს. 18 წლის ბიჭია და კრივის სამყარო აალაპარაკა. ფინალში რუს ევროპის ჩემპიონსაც არაფერი დაუთმო, მაგრამ ჩემპიონობა მაინც ვერ შეძლო. რაც შეეხება კუპატაძეს, მისი ნახევარფინალური მარცხის მთავარი მიზეზი გამოუცდელობაა. ევროპის ჩემპიონატზე ცხრა ოქროს მომგები რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის მალახბეკოვის სენსაციური ძლევის შემდეგ ყველამ ფავორიტად შერაცხა. ამას მოჰყვა პოლონელთან ლამაზი გამარჯვებაც და მანაც ჩემპიონობაზე დაიწყო ფიქრი. არადა ჯერ ძალიან ადრე იყო. ფინალში გასასვლელ შეხვედრაში საკუთარ თავს არ ჰგავდა. მესამე რაუნდიდან გამოცოცხლდა და სხვაობის შემცირებაც დაიწყო, თუმც დრო აღარ ეყო. გული მაინც არ მწყდება, რადგან დარწმუნებული ვარ, იმავე ფრანგს ოლიმპიადაზე რომ შეხვდეს, აუცილებლად მოუგებს.

**— გუნდს ორი წონა აკლდა. ეს გადაწყვეტილება წარმატების ნაკლები შანსის გამო შეგნებულად მიიღეთ?**

— 48 და 81 კილოგრამში მოასპარეზენი ჯერ მსგავსი ტურნირებისთვის მზად არ არიან. სერიოზულად ვმუშაობთ. იმედია, მალე შედეგიც გამოჩნდება.

**— წინ სალიცენზიო ტურნირებია. როდის და სად გაიმართება?**

— დარჩა ორი ტურნირი, რომელიც ოთხ ქვეყანაში გადანაწილდება. 29 მარტიდან 5 აპრილამდე ექვსი წონა ბულგარეთში იასპარეზებს, ხუთი კი პოლონეთში. ბოლო სალიცენზიოს კი 19-26 აპრილს აზერბაიჯანი და შვედეთი გაინაწილებენ. ათენის საგზურის მოსაგებად, ფინალში გასვლა იქნება საჭირო.

**— რეალურად, რამდენი ლიცენზიის მოგება შეგვიძლია?**

— ხორვატიულ ორს კიდევ ორი თუ წავამატეთ, კმაყოფილები ვიქნებით.

### ნიკოლოზ იზორია

## ოქროზე არ უნდა მეფიქრა

**— გადამწყვეტი ბრძოლის მოგება თუ შეგეძლო?**

— რუსებს ძალიან ძლიერი სკოლა აქვთ. ეს ხორვატიაში მოგებული ცხრა ოქროთი დაამტკიცეს. თავი არ დამიზოგავს, ბოლომდე ვიბრძოლე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ეს ფინალი ალბათ საჭიროც კი იყო ჩემი მომავალი წარმატებებისთვის. გარკვეული გამოცდილება მივიღე და მის გამოყენებას ოლიმპიადაზე ვეცდები.

**— როდის დაიჯერე, რომ ლიცენზიას მოიგებდი?**

— როგორც კი მწვრთნელმა კენჭისყრის შედეგი შემოიტანა, მივხვდი, წარმატებაზე ფიქრი შეიძლებოდა. შემდეგ ჩემი თავის რწმენა ბრძოლიდან ბრძოლამდე მიძლიერდებოდა. ნახევარფინალში გასვლით ისე გავიხარე, ცრემლებიც კი მომადგა და ხუთჯვრიანი დროშის ფრიალითაც გული ვიჯერე.

**— გული ხომ არ გწყდება, ოქრო რომ ვერ მოიგე?**

— ჩემი მთავარი მიზანი და ოცნება ოლიმპიადის საგზური იყო და ეს შევძელი. ჩემპიონობა კარგი იქნებოდა, მაგრამ გული მართლა არაფერზე მწყდება. უკეთესი შედეგისთვის ათენში ვიბრძოლებ.

**— სამომავლო გეგმები როგორია?**

— ფოთში დღესვე ვბრუნდები. დაახლოებით ოცი დღით დავისვენებ და შემდეგ ვარჯიშს ჩემს პირად მწვრთნელთან, ზაურ ანთიასთან გავაგრძელებ. თენგიზ მესხაძის გარდა ეს მედალი მისი, თემურ ოჩიგავას, თემურ ხურცილავასა და აწგარდაცვლილი ვლადიმერ შონიას დამსახურებაა.

### კონსტანტინე კუპატაძე

## ბრინჯაოზე გული არ მწყდება

**— ყველაზე დასამახსოვრებელი ამ ევროპიდან ალბათ მალახბეკოვის ძლევა იყო.**

— ამ რუსთან შეხვედრას 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ვნატრობდი. მაშინაც ბრინჯაო ავიღე და ფინალისკენ გზა მან გადამიკეტა. შარშან დაღესტანში მომეცა შანსი, მაგრამ მსაჯებმა იქამდე არ მიმიშვეს. ხორვატიაში მოსაგებად ვიყავი განწყობილი. დასაკარგი არაფერი მქონდა და დიდი მონდომებითაც ვეკვეთე. ალბათ ასეთ დაძაბულ ბრძოლას თავადაც არ ელოდა.

**— ფავორიტის დამარცხების შემდეგ დარბაზის მხარდაჭერა თუ იგრძენი?**

— გულშემატკივრობა ჯერ კიდევ მალახბეკოვთან ბრძოლისას დამიწყეს, რომ შეამჩნიეს, არაფერს ვუთმობდი. მხარდაჭერა შემდეგ ბრძოლებშიც გაგრძელდა.

**— ამ შეხვედრის მოგების შემდეგ ფავორიტად შენ დაგასახელეს, მაგრამ ნახევარფინალს ველარ გასცდი. რამ შეგიშალა ხელი?**

— ალბათ პირველ რიგში თავდაჯერებულობამ. ყველა წინასწარ მილოცავდა ჩემპიონობას და სიხარულისგან ღამე არ მეძინა. ფრანგთან მოგება მართლა შემეძლო, რომ არა ეს ემოციური ტვირთი. ოქროზე ფიქრი დამღუპველი აღმოჩნდა, მაგრამ არ უშავს. ოლიმპიადაზე მსგავს შეცდომას აღარ დავუშვებ.

**— მაინც ვის თვლი ათენში ძირითად კონკურენტად?**

— ისევ და ისევ რაიმკულ მალახბეკოვს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

---

ჭადრაკი

# რაჯაბოვმა თემური მიიღო

## ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 19 თებერვალი - 5 მარტი

XIII ტური

პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) 0,5:0,5
გარი კასპაროვი (რუსეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5
თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) — ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 1:0
*ვლადიმირ კრამნიკმა (რუსეთი) დაისვენა*

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 6,5 ქულა/11 თამაში |
| 2 | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 6/11 |
| 3 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 6/11 |
| 4 | თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 6/12 |
| 5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 5,5/11 |
| 6 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 4,5/11 |
| 7 | ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) | 4,5/11 |

სუპერტურნირის ყველაზე ნორჩმა მონაწილემ, 16 წლის თეიმურ რაჯაბოვმა მეორე წრეში სულ აიწყვიტა. აზერბაიჯანელს თავიდანვე ასე რომ დაეწყო, პირველ ადგილს ვერავინ შეეცილებოდა. მეშვიდე ტურში დასვენების შემდეგ თემურმა ოთხ სახელოვან ყაიმს გამოჰკრა ხელი, ხოლო ბოლო ორი პარტია მოიგო და 12 თამაშით პირველმა დაასრულა სუპერტურნირი. იგი ჯერ კიდევ მოთამაშე ლიდერ კრამნიკს ნახევარი ქულით ჩამორჩა.

რაჯაბოვ—შიროვის შეხვედრა ტურში ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა. შიროვმა თავიდანვე შეუტია აზერბაიჯანელს და სტრატეგიული უპირატესობაც მოიპოვა, თუმც მალე ბაქოელმა თავისი მებრძოლი სული გამოავლინა, ძალას ძალა დაუპირისპირა და მეტად მძიმე ბრძოლაში მეორე გამარჯვება გამოჭედა.

კრამნიკის დასვენებით ვერ ისარგებლა კასპაროვმა და ლიდერთან მხოლოდ ქულათა სხვაობა შეამცირა. ტოპალოვთან მოგების შემთხვევაში გარი თანამემამულეს ქულებით გაუტოლდებოდა და საქმესაც წინ წაიგდებდა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა და ალბათ პირველ ადგილსაც გამოემშვიდობა.

ლიდერთან მიახლოების შანსი ლეკომაც გაუშვა. იგი ვალეხოს საკმაოდ სწრაფად 19 სვლაში დაუზავდა.



თეიმურაზ რაჯაბოვი სწრაფად კაცდება

# საქართველოს ჩემპიონატი



5 მარტი. ბათუმი

**ბასკო 78:57 სტუ**

22:13 15:11 24:20 17:13

ბასკო: ი. ბერიშვილი (3), ბ. ბერიშვილი (13), კეშელავა (7), ტუჯანი (8), ბერძენიშვილი (19); დ. ბერიშვილი (14), იმნაძე (9), კვიმსაძე (4), როდუმტა (1), მაისურაძე

სტუ: მიქაძე (11), ხეცურიანი (11), მარკოიშვილი (9), დავითულიანი (2), ჯაფარიძე (7); ახალკაცი (8), გაგნიძე (5), ბაბიაშვილი (2), ქისტაური (2), შანიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

# სიტყვის თავგაცი კანდელაკმა თქვა, ბასკომ აასრულა

ირაკლი პერტაია *ბათუმიდან*

გუშინ ბათუმის „ბასკოსთვის" რეგულარული ჩემპიონატი ფაქტობრივად დასრულდა. ზღვისპირელებს შეუძლიათ, აღარ ინერვიულონ და მშვიდად დაელოდონ პლეი ოფს, რაკი მხოლოდ იმ შემთხვევაში კარგავენ ცხრილში პირველ ადგილს, თუ მათ ტოლ გუნდებთან ერთად მეოთხე წრეში რომელიღაც მაჩანჩალასთანაც წააგებენ. ეს კი, წარმოუდგენელი ამბავია.

ბათუმელთა თავკაცი ნუგზარ კანდელაკი ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ხომ რიგიანი მწვრთნელია და კარგი ფსიქოლოგიც ყოფილა. მან გუშინწინდელ ინტერვიუში გვითხრა, სტუ-სთან სათასო შეხვედრაში რუსთავში წაგებული 15 ქულა უხერხულ ტვირთად გვაწვა და ამიტომ ვერ მოვახერხეთ სასურველი ანგარიშით მოგება, თორემ ეს რომ არა, ვინძლო მეტი სხვაობითაც გაგვემარჯვაო. ჰა, ბატონო, „ბასკო" ყოველგვარი შებოჭილობის გარეშე გავიდა გუშინ სტუდენტებთან სათამაშოდ და 21-ქულიან მოგებასთან ერთად რეგულარული ჩემპიონატის პირველობაც დაისაკუთრა.

სათქმელია, რომ „სტუ-ჯეოსელი" მთლად მწყობრში ვერ შეხვდა „ბასკოსთან" გუშინდელ მატჩს, ტრავმირებული გიორგი ნიკოლაძე მოისაკლისა, თუმც ისიც რომ ჰყოლოდა, ვეჭვობთ, მასპინძლებს თავაწეული გამოეშვათ სტუდენტები ბათუმიდან.

„ბასკოს" თავკაცს „დინამოსთან" სათასო მატჩისგან განსხვავებით არავითარი ექსპერიმენტისთვის არ მიუმართავს, მოედანზე თავიდანვე დაბალანსებული ხუთეული გაიყვანა და მისმა შეგირდებმაც კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ ამოცანას. მასპინძლებმა საბოლოოდ ძალიან იოლად კი იმარჯვეს, თუმც სანამ თამაშის რიტმში ჩაჯდებოდნენ და სტუდენტებს სასუნთქ გზებს გადაუკეტავდნენ, მთელი პირველი მეოთხედი გაილია.

დებიუტში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს, ბურთი კალათზე დიდი იყო. 4 წუთი ისე გაილია, თამაშიდან ბურთი არ ჩავარდნილა. ორივე გუნდი გულით ეცადა, მაგრამ პერიმეტრიდან მიზანი ვერ გაისწორა და კალათბურთელებმა ინდივიდუალური გარღვევებით იწყეს ხეირის ძიება. ვინ დააცალა, მატჩი ახალი დაწყებული იყო და მოთამაშეებიც თამამად ჯარიმდებოდნენ. ჰოდა, ასე ქულა-ქულა მიცოცავდა ანგარიში, სანამ ბასკოელმა დავით ბერძენიშვილმა საბოლოოდ არ გატეხა ირაკლი ჯაფარიძე და სტუ-ს ფარქვეშეთს დაეპატრონა.

ბათუმელები პირველად მე-6 წუთზე დაწინაურდნენ და ამ დროს ბერძენიშვილის დასახმარებლად მოედანზე არანაკლებ ახმახი დავით იმნაძე გამოჩნდა. ტექნიკოსთა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა ამათ საკუთარი მძიმე არტილერია დაუპირისპირა, თუმც მოედანზე გამოსულმა გულივერ ახალკაცმა და ზვიად ბაბიაშვილმა ვერაფრით ალაგმეს მასპინძელთა ფარქვეშ თარეში. ზღვისპირელი მაღლები სტუ-ს სამწამიანში კომფორტულად რომ გრძნობდნენ თავს, „ბასკოს" უკანახაზელთა დამსახურებაა. ბუბა და ირაკლი ბერიშვილები იოლად ჩასაყლაპი პასებით კვებავდნენ ტექნიკოსთა ფარქვეშ მეოხ ბერძენიშვილს.

ეს შეტევაში, დაცვაში კი ბასკოელები არც მთლად ზონაში იდგნენ, პერიმეტრზეც ასწრებდნენ ასვლას, ამის გამო სტუდენტები იშვიათად ილერებდნენ თავიანთ ბასრ იარაღს შორ სროლებს, ვერც ამ გზით იხვეჭდნენ ქულებს და საწყისი მეოთხედის მიწურულს 8:20 წამორჩნენ.

მცირე შესვენების შემდეგ კანდელაკმა ძირითადის ხალხის დასვენება გადაწყვიტა და მოედანზე სამარქაფონი ირჯებოდნენ. ბათუმელმა პლასიდე როდუმტამ ფარქვეშ პოზიციები დათმო, სტუმაც წამოწევა იწყო, თუმც ზვიად ბაბიაშვილმა ანგარიში 7 ქულამდე რომ შეამცირა, უხერხულად დახტა ფიცარნაგზე და ფეხმტკივანმა მოედანი თამაშის ბოლომდე დატოვა. ტექნიკოსთა იმედებიც აქ ჩაიფერფლა. ნუგზარ ჭეიშვილი მხოლოდ თავისი შეგირდების სიზუსტის იმედად თუ იქნებოდა. ეცადნენ კიდეც ტექნიკოსები, მაგრამ მათ ნაცვლად შორი სროლები ბასკოელებს წაუვიდათ. მართალია მასპინძლებს სნაიპერ ლაშა კეშელავას ჩვეულად არ წაუვიდა სამქულიანები, თუმც დავით ბერიშვილმა იყოჩაღა და „ბასკომაც" 37:24 მოიგო პირველი ტაიმი.

თუ თამაშის შემობრუნების თავი ჰქონდათ, სტუდენტებს მესამე მეოთხედში უნდა ეთქვათ საკუთარი სიტყვა, თუმც მორალურად გატეხილმა ტექნიკოსებმა ვერაფერი მოუხერხეს გულშემატკივრებს ყიჟინით შეგულიანებულ ბათუმელებს, კიდევ უფრო ჩამორჩნენ და ბოლო ათწუთეულის დაწყებამდე უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

5 მარტი. ვერის ბაღი

**თსუ 91:54 სსუ**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 21 | 19 | 2 | +559 | 40 |
| დინამო | 21 | 16 | 5 | +433 | 37 |
| სტუ | 20 | 15 | 5 | +312 | 35 |
| თსუ | 21 | 12 | 9 | +116 | 33 |
| რუსთავი | 19 | 10 | 9 | +100 | 29 |
| მაკაბი | 20 | 7 | 13 | -132 | 27 |
| სსუ | 21 | 3 | 18 | -468 | 24 |
| ქუთაისი | 21 | 0 | 21 | -836 | 21 |

## რეგულარული ჩემპიონატი

— 4 მარტი —

**პორტლენდი 68:83 დეტროიტი**

პორტლენდი: სტუდემაიერი (8), ანდერსონი (8), მაილზი (2), რენდოლფი (11), რეთლიფი (1); აბდურ-რაჰიმი (10), დიკაუ (9), ვუდსი (8), პატერსონი (5), დევისი (4), გილი (2), კუკი

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

დეტროიტი: ბილაფსი (16), ჰანტერი (7), პრინსი (12), რ. ვოლესი (13), ბ. ვოლესი (12 ქულა, 19 მოხსნა, 4 დაფარება, 4 ჩაჭრა); უილიამსონი (14), ჯეომსი (7), მილიჩიჩი (2), ფოულკისი, ჰემი

**მაიამი 104:98 მილუოკი**

მაიამი: ალსტონი (23), კ. ბატლერი (21), რ. ბატლერი (20)

მილუოკი: ვან ჰორნი (22), რედი (21), მეისონი (16)

**ფილადელფია 105:114 საკრამენტო**

ფილადელფია: აივერსონი (32 ქულა, 10 პასი), დალემბერტი (20 ქულა, 15 მოხსნა)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (27), ვებერი (24 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), ბიბი (21)



## რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეკური ჩრდილოეთ ამერიკაშიც იციან: სენტლუისელი ბრაიან სალვადორი და ედმონტონელი ფერნანდო პიზანი აცეკვებულან

# მადა პასებში მოდის

— 4 მარტი —

**ტორონტო 6:2 აილენდერსი**

*3:0 0:0 3:2*

1:0 სუნდინი (8), 2:0 მაკეიბი (13), 3:0 რაიხელი (20), 4:0 რობერტსი (51), 5:0 მაკეიბი (53), 5:1 ჰანტერი (56), 6:1 ტაკერი (57), 6:2 პერიში (60)

„ტორონტოს" გენერალურ მენეჯერ ჯონ ფერგიუსონს სატრაბახოდ აქვს საქმე. მან ბოლო მომენტში სერგეი გონჩარს ვეტერანი ბრაიან ლიჩის შეძენა ამჯობინა და მისი გამჭრიახობა პირველი თამაშში გამოჩნდა. ყოფილმა რეინჯერსელმა ახალ გუნდში ყოფნისაც აგრძნობინა „აილენდერსს" ის წყენა და სირცხვილი, რაც ნიუიორკულ კლუბთან ექვსმა დერბიმ მოუტანა. ვეტერანმა მცველმა ბრწყინვალედ შეასრულა გამთამაშებლის როლი რიცხვმრავლობაში და მისი სამი პასის წყალობით „ტორონტომ" სამჯერვე გამოიყენა მეტოქის ჯარიმები.

„მეგონა, დღეს ლიჩი 4-5 ქულას შეიძენდა, ასე რომ, დამალალატა" — იხუმრა მატჩის შემდეგ გუნდის თავკაცმა პეტ ქუინმა.

„ვფიქრობ, „ტორონტო" წლეულს ბევრს მიაღწევს. აქ ყველა თასის მოლოდინში ვართ" — კარგი დებიუტით გამხნევებული ლიჩი მადაზე მოსულა.

**ბოსტონ 3:1 რეინჯერსი**

*0:0 2:0 1:1*

1:0 ტორნტონი (27), 2:0 ტორნტონი (32), 3:0 გონჩარი (50), 3:1 იაგრი (60)

არც „ბოსტონის" გვამები უნდა იყვნენ უკმაყოფილონი, ბოლო წუთებში ლიჩის მაგივრად არჩეული გონჩარიც პირველივე მატჩში გამოირჩა და თან ამის წყალობით ლიგის მცველთაგან პირველმა უწია 50 ქულას. გონჩარის გოლმა საბოლოოდ წარკვეთა „რეინჯერსს" იმედი. თან რუსმა „დათვმა" კიდევ ერთი ახალშეძენილის, მიქაელ ნიულანდერის პასის შემდეგ შეაგდო. ხედავთ, ტრეიდები ისე სწრაფად კეთდება, ხსენებასაც ვერ ვასწრებთ, შველი მანამდე „ვაშინგტონში" ასპარეზობდა, ოთხშაბათს კი „ბოსტონში" აღმოჩნდა...

**პიტსბურგი 4:9 ნეშვილი**

*0:4 2:1 2:4*

0:1 ჟიდლიცკი (1), 0:2 ერატი (13), 0:3 პატჩინსონი (16), 0:4 ტუტუ (17), 0:5 ჰემიუსი (22), 1:5 კრაფტი (38), 2:5 მელიხარი (40), 2:6 ჰოლი (44), 3:6 უილსონი (48), 4:6 ტარნსტრიომი (52), 4:7 ლეგვანდი (53), 4:8 სალივანი (58), 4:9 ჰოლი (59)

**სენტ ლუისი 1:1 ედმონტონი**

*0:0 0:0 1:1 0:0*

1:0 ხავანოვი (42), 1:1 ტორესი (49)

**ლოს ანჯელესი 1:1 მინესოტა**

*1:0 0:0 0:1 0:0*

1:0 რობიტაილი (19), 1:1 უიმერი (58)

# რუსებს თავხედობა არ გაუვიდათ

**„ჟერდევის საქმეს"** როგორც იქნა წერტილი დაესვა.

ამ ჩახლართული ისტორიის საარბიტრაჟო განხილვა 26-27 თებერვალს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში შედგა, ხუთშაბათს კი მოსამართლე შტეფან ნეტლცეს გადაწყვეტილება გაცხადდა. რუსული მხარე დამარცხებულია. მათი მტკიცება, რომ ჟერდევი სამხედრო მოსამსახურეა და მისი „კოლუმბუსში" წასვლა წმინდა წყლის დეზერტირობაა, გაქარწყლდა. ჟერდევის გაწვევა უკანონოდ და ძალისმაგიერად ჩაითვალა. იქით გაედავნენ, რა უფლებით არ უშვებდით ჰოკეისტსო.

როგორც აღმოჩნდა, „კოლუმბუსმა" ზაფხულში სავალდებულო საკომპენსაციო თანხა 100 000 დოლარი რომ გადაიხადა, ჟერდევის ყოფილმა კლუბმა, ცსკა-მ მასზე ყველა უფლება დაკარგა. ამრიგად, ჟერდევი უკვე სრულყობფილი ნჰლ-ელია.

„ეს ძალიან მძიმე თვეები იყო ნიკოლაისთვის, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა" — თქვა გუნდის გენერალურმა მენეჯერმა დუგ მაკლინმა. აქვე დავძენთ, რომ 2003 წლის დრაფტის მე-4 ნომრად არჩეულმა ჟერდევმა 42 თამაშში 18(7+11) ქულა მიითვალა.



**THE DUBAI TENNIS CHAMPIONSHIPS**

ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $

**მეორე წრე**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:3, 6:4; ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) — პარადორნ შრიჩაფანი (7, ტაილანდი) 7:6 (8:6), 4:6, 7:5; ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:3, 6:4; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) 7:5, 1:6, 6:1

**ყატარის ღია პირველობა**

დოჰა. მაგარსაფარი

საპრიზო 600 ათასი $

**მეოთხედფინალი**

ჟუსტინ ენენ-არდენი (1, ბელგია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:1, 7:5; ჯენიფერ კაპრიატი (2, აშშ) — სილვია ფარინა ელია (5, იტალია) 7:6 (8:6), 6:1; ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) — წენ ძი (ჩინეთი) 6:2, 7:5; სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) — მეგან შონესი (აშშ) 4:6, 6:1, 6:3

**მექსიკის ღია პირველობა**

აკაპულკო

საპრიზო 652 ათასი $

**მეორე წრე**

კარლოს მოია (1, ესპანეთი) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 3:6, 6:3, 6:2; ხუან იგნასიო ჩელა (7, არგენტინა) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:3, 6:3; ფილიპო ვოლანდრი (8, იტალია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:2; ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) — ლუის ორნა (პერუ) 3:6, 6:4, 7:6

# თუ მოიგე, წადი, რა!

## შუმი ქომაგებსაც მობეზრდათ

**ხვალ** თბილ და მზიან ავსტრალიაში, სადაც ახლა ადრეული შემოდგომაა, ფორმულა 1-ის მოხეტიალე ცირკი 55-ე ჩემპიონატის შვიდთვიან გზას გაუყვება.

წლეულს სარეკორდოდ ბევრი, 18 დიდი პრიზი გათამაშდება. უფულობის მიზეზით ჩაშლის პირას მდგომ კანადას და საფრანგეთს მშველელები გამოუჩნდნენ და კალენდარში ადგილები შეუნარჩუნეს. დაბრუნდა თამბაქოს რეკლამის აკრძალვის გამო შარშანწინ მოკვეთილი ბელგიური ეტაპი, თუმცა იმავე პრობლემამ ავსტრია შეიწირა. ორიც სიახლეა — „სამეფო" სიაში ვეება ჩინეთი და ჯუჯა ბაჰრეინი ჩაეწერა. ამით არაევროპულ რბოლათა რაოდენობა რვამდე გაიზარდა, რაც აქამდე არასდროს ყოფილა.

საჩემპიონო ვარიანტებზე სათქმელი ბევრი არაფერია და რეალურად ვინ ვინაა, უკვე ორ-სამ რბოლაში გამოჩნდება. უმთავრეს ფავორიტად ტრადიციულად მიხაელ შუმახერი ითვლება და ოქტომბერში ალბათ მეშვიდე გვირგვინსაც დაიდგამს. ტრადიციულია მის „მტერთა" წრეც — შარშანდელი ვიცეჩემპიონი კიმი რაიკონენი, ხუან-პაბლო მონტოია, რუბენს ბარიკელო და „წითელი ბარონის" უმცროსი ძმა რალფი.

ფორმულა ერთის აუარებელ ქომაგთათვის მთავარი გასახარი ის იქნება, თუ შარშანდელი სატიტულო ინტრიგაც ტრადიციად დამკვიდრდება და გამარჯვებულს მხოლოდ დასკვნითი ეტაპი გამოავლენს.

ფავორიტ შუმის ვაი-ფანებმა გული შეუწუხეს, უკვე იმაზე მეტს მიაღწიე, რისი ოცნებაც შეიძლებოდა და რიღასთვის აგრძელებ ჯირითსო. მიხაელს, რომელმაც იმგვარი რეკორდები დაამყარა, ვეღარავინ რომ ვერ გააუმჯობესებს, ამაზე ტრადიციული პასუხი აქვს: „დაიჯერეთ, რომ რბოლის და გამარჯვების მოტივაცია არ გამნელებია. მე კვლავინდებურად მომწონს ჩემი სამუშაო, რბოლებში მონაწილეობაც მსიამოვნებს და არ მესმის, რატომ უნდა ვთქვა ამაზე უარი."



„ფერარის" ბოსმა ლუკა დი მონტეძემელომ თავისი ბიჭები საჩემპიონოდ დაქოქა

## 55-ე ჩემპიონატის მონაწილეები

| № | მრბოლი | ქვეყანა | გუნდი | ასაკი | რბოლა | მოგება | პოდიუმი | პოული | უ/წრე | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 35 | 195 | 70 | 122 | 55 | 56 | 1038 |
| 2 | რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | ფერარი | 31 | 180 | 7 | 43 | 9 | 11 | 337 |
| 3 | ხუან-პაბლო მონტოია | კოლუმბია | უილიამსი | 28 | 50 | 3 | 20 | 11 | 9 | 163 |
| 4 | რალფ შუმახერი | გერმანია | უილიამსი | 28 | 115 | 6 | 23 | 4 | 7 | 235 |
| 5 | კიმი რაიკონენი | ფინეთი | მაკლარენი | 24 | 50 | 1 | 14 | 2 | 4 | 124 |
| 6 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი | 32 | 157 | 13 | 60 | 12 | 18 | 451 |
| 7 | ფერნანდო ალონსო | ესპანეთი | რენო | 22 | 33 | 1 | 4 | 2 | 1 | 55 |
| 8 | იარნო ტრული | იტალია | რენო | 29 | 113 | — | 2 | — | — | 71 |
| 9 | ჯენსონ ბატონი | დიდი ბრიტანეთი | B.A.R | 24 | 66 | — | — | — | — | 45 |
| 10 | ტაკუმა სატო | იაპონია | B.A.R | 27 | 18 | — | — | — | — | 5 |
| 11 | ჯანკარლო ფიზიკელა | იტალია | ზაუბერი | 31 | 123 | 1 | 10 | 1 | 1 | 94 |
| 12 | ფელიპე მასა | ბრაზილია | ზაუბერი | 22 | 16 | — | — | — | — | 4 |
| 14 | მარკ ვებერი | ავსტრალია | იაგუარი | 27 | 32 | — | — | — | — | 19 |
| 15 | კრისტიან კლინი | ავსტრია | იაგუარი | 20 | — | — | — | — | — | |
| 16 | კრისტიანო და მატა | ბრაზილია | ტოიოტა | 30 | 16 | — | — | — | — | 10 |
| 17 | ოლივიე პანი | საფრანგეთი | ტოიოტა | 37 | 141 | 1 | 5 | — | — | 70 |
| 18 | ნიკ ჰაიდფელდი | გერმანია | ჯორდანი | 26 | 66 | — | 1 | — | — | 25 |
| 19 | ჯორჯო პანტანო | იტალია | ჯორდანი | 25 | — | — | — | — | — | — |
| 20 | ზოლტ ბაუმგარტნერი | უნგრეთი | მინარდი | 23 | 2 | — | — | — | — | — |
| 21 | ჯანმარია ბრუნი | იტალია | მინარდი | 22 | — | — | — | — | — | — |

## კალენდარი

| თარიღი | ქვეყანა | ქალაქი | ტრასა, კმ | წრე | დისტანცია | სისწრაფის რეკორდი, კმ/სთ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7 მარტი | ავსტრალია | მელბურნი | 5,303 | 58 | 307,574 | 217,6 — რაიკონენი |
| 21 მარტი | მალაიზია | კუალა ლუმპური | 5,543 | 56 | 310,408 | 207,0 — მ. შუმახერი |
| 4 აპრილი | ბაჰრეინი | მანამა | 5,411 | 57 | 308,427 | — |
| 25 აპრილი | სან მარინო | იმოლა | 4,933 | 62 | 305,609 | 215,3 — მ. შუმახერი |
| 9 მაისი | ესპანეთი | ბარსელონა | 4,730 | 65 | 307,323 | 212,5 — ბარიკელო |
| 23 მაისი | მონაკო | მონტე კარლო | 3,340 | 78 | 260,520 | 161,3 — რაიკონენი |
| 30 მაისი | ევროპა (გერმანია) | ნიურბურგი | 5,146 | 60 | 308,863 | 209,3 — მ. შუმახერი |
| 13 ივნისი | კანადა | მონრეალი | 4,361 | 70 | 305,270 | 206,7 — მონტოია |
| 20 ივნისი | აშშ | ინდიანაპოლისი | 4,192 | 73 | 306,016 | 211,1 — მ. შუმახერი |
| 4 ივლისი | საფრანგეთი | მანი კური | 4,411 | 70 | 308,584 | 210,3 — მონტოია |
| 11 ივლისი | დიდი ბრიტანეთი | სილვერსტოუნი | 5,141 | 60 | 308,356 | 225,1 — ბარიკელო |
| 25 ივლისი | გერმანია | ჰოკენჰაიმი | 4,574 | 67 | 306,458 | 219,8 — მონტოია |
| 15 აგვისტო | უნგრეთი | ბუდაპეშტი | 4,384 | 70 | 306,880 | 192,1 — მონტოია |
| 29 აგვისტო | ბელგია | სპა-ფრანკორშამი | 6,968 | 44 | 306,592 | 228,5 — მ. შუმახერი |
| 12 სექტემბერი | იტალია | მონცა | 5,793 | 53 | 306,764 | 254,8 — მ. შუმახერი |
| 26 სექტემბერი | ჩინეთი | შანხაი | 5,451 | 56 | 305,256 | — |
| 10 ოქტომბერი | იაპონია | სუძუკა | 5,824 | 53 | 307,573 | 223,8 — რ. შუმახერი |
| 24 ოქტომბერი | ბრაზილია | სან პაულუ | 4,309 | 71 | 305,909 | 207,5 — მ. შუმახერი |

## F1

**პირველი ეტაპი** ავსტრალიის დიდი პრიზი

### ალბერტ პარკი

*მელბურნი, 7 მარტი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ტრასის სიგრძე** ---------------------------- 5.303 კმ

**რბოლის დისტანცია** ---------------------- 58 წრე — 307.574 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 7 საათზე*

**შარშან:** 1 კულჰარდი (მაკლარენი); 2 მონტოია (უილიამსი); 3 რაიკონენი (მაკლარენი); 4 მ.შუმახერი (ფერარი); 5 ტრული (რენო); 6 ფრენცენი (ზაუბერი); 7 ალონსო (რენო); 8 რ.შუმახერი (უილიამსი)

**წრის რეკორდი:** 2003 — რაიკონენი (მაკლარენი) 1:27.724 (217,6კმ/სთ)

საპირველეტაპო სამღლიური ისე დაიწყო, როგორც უნდა დაწყებულიყო. თუმცა ფერარელთა ამხელა უპირატესობას ვერავინ ივარაუდებდა.

მელბურნის ქუჩებში გუშინდელ ორივე ოფიციალურ ვარჯიშზე ყველაზე სწრაფი მიხაელ შუმახერის ბედაური იყო. ამასთან, მეორე ცდაზე „ალბერტ პარკის" სისწრაფის რეკორდიც დაამყარა. ექვსგზის ჩემპიონთან სულ რაღაც წამის მეათედი წააგო რუბენს ბარიკელომ, სხვები კი „წითლებს" უზარმაზარი, წამზე მეტი სხვაობით ჩამორჩნენ.

შუმი-კელოს ტანდემის ამგვარმა დომინირებამ მათი მეტოქეები შოკში ჩააგდო. მართალია, კი თვლიან, რომ ეს ცარიელი ავზების ეფექტი იყო, არც იმას უარყოფენ, რომ წლევანდელი „ფერარები" მართლაც საოცრად სწრაფებია.

ჭუჭყიან ასფალტზე ბოლიდები თითქმის ყველას მოუსრიალდა, მათ შორის მიხაელსაც: „მართალია, ერთი-ორჯერ ტრასიდან ძლიერი ქარის გამო მოვცურდი, მაგრამ ბუნებრივია, შედეგით კმაყოფილი ვარ. სხვებზე ვერაფერს ვიტყვი, მთავარი ისაა, რომ ჩვენმა მანქანამ იმედი გაამართლა. თუმცა დღევანდელი შედეგი ბევრს არაფერს ნიშნავს."

შუმისთვის მეშვიდე ტიტულის მოპოვებაში მთავარი ხელის შემშლელები საკმაოდ უკან აღმოჩნდნენ — რალფი მეექვსე იყო, მონტოია მეშვიდე, ხოლო რაიკონენი მხოლოდ მეათე. მონტიც და „ყინულის კაცი" კიმიც თავიანთი ბოლიდებით უკმაყოფილოები ჩანდნენ, მანქანის ბალანსი არ ვარგოდა და ტრასაც ჭუჭყიანი იყოო.

ისიცაა, რომ რაკი ახალი წესებით ყოველ ბოლიდზე სამღლიურში მხოლოდ ერთი ძრავის გამოყენის უფლება აქვთ, პილოტები ალბათ ზედმეტად დატვირთვას ერიდებოდნენ, მაგრამ წესი ხომ ყველასათვის ერთია. სიახლე ისიცაა, რომ წლეულს გაიზარდა ბოქსებში შესვლა-გამოსვლის სიჩქარე 80-დან ას კილომეტრამდე. ასე რომ, პიტსტოპებზე საგრძნობლად ნაკლები დრო დაიხარჯება.

ცხადია, გვაინტერესებს დებიუტანტების მაჩვენებლები. სამეულიდან საუკეთესო იყო „იაგუარის" 20 წლის ავსტრიელი კრისტიან კლინი, ხოლო მინარდელი და იაგუარელი იტალიელები — ჯანმარია ბრუნი და ჯორჯო პანტანო ოცეულის ძირში დარჩნენ.

ბრიტანელი მეფსონეების, პროგნოზით, მელბურნში გამარჯვების ყველაზე რეალური შანსი აქვთ მიხაელ შუმახერს (2-1) და ხუან-პაბლო მონტოიას (3-1).

### ვარჯიშის შედეგები

1 მიხაელ შუმახერი — 1.24,718
2 რუბენს ბარიკელო +0,108
3 იარნო ტრული +1,039
4 ჯენსონ ბატონი +1,068
5 ფერნანდო ალონსო +1,135
6 რალფ შუმახერი +1,164
7 ხუან-პაბლო მონტოია +1,488
8 დევიდ კულჰარდი +1,497
9 მარკ ვებერი +1,594
10 კიმი რაიკონენი +1,861



REUTERS მელბურნიდან

მიხაელ შუმახერმა „ალბერტ პარკის" რუბენს ბარიკელოს რეკორდი წამით გააუმჯობესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ერთა თასი. მესამე ტური

# საქართველო VS რუსეთი

6 მარტი. თბილისი. «ლოკომოტივი». 16 საათი

საქართველო: 15 ოთარ ბაკალაია, 14 ბესიკ ხამაშურიძე, 13 თედო ზიბზიბაძე, 12 მალხაზ ურჯუკაშვილი, 11 ნონო ანდღულაძე, 10 პალიკო ჯიმშელაძე, 9 ბიძინა სამხარაძე; 8 დავით ბოლღაშვილი, 7 გია ლაბაძე, 6 ილია მაისურაძე, 5 ვიქტორ დიდებულიძე, 4 ილია ზედგინიძე (კაპ), 3 მიხეილ სუჯაშვილი, 2 დავით დადუნაშვილი, 1 მევლუდ მთიულიშვილი

სათადარიგოები: 16 დავით ხინჩაგაშვილი, 17 სანდრო ესაკია, 18 მამუკა გორგოძე, 19 რატი ურუშაძე, 20 მერაბ კვირიკაშვილი, 21 დავით ფირფილაშვილი, 22 ლექსო გუგავა

რუსეთი: დიმიტრი დიატლოვი, ვიაჩესლავ გრაჩოვი, სერგეი სერგეევი (კაპ), კონსტანტინ რაჩკოვი, ალექსეი რეჩნევი, ალექსეი სარიჩევი, ვლადიმირ სიმონოვი, ვალერი ფედჩენკო, ოლეგ შუკაილოვი, დიმიტრი აკულოვი, ალექსეი კორობეინიკოვი, ალექსანდრ შაკიროვი, რომან შელეპკოვი, რომან რომაკი, სერგეი პოპოვი, იგორ კლიუჩნიკოვი, ანდრეი კუზინი, ალექსანდრ კაზანცევი, ვიქტორ მოტორინი, ვალერი კორშუნოვი, ალექსანდრ ხორკინი

მწვრთნელი: ალექსანდრ პერვუხინი

# მრთად მივაწვეთ, კიდევ ერთხელ ეს რუსეთი ისეთივეა

რუს „დათვებთან“ მორიგი ჯახის ჯერიც დადგა. სწორედაც მორიგია ეს თამაში, რაკი არც მსოფლიოს თასზე გამსვლელი საგზური თამაშდება და არც ერთა თასის გადამწყვეტი მატჩი გახლავთ, ყოველ შემთხვევაში ქულებდაფანტული საქართველოსთვის.

მაგრამ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მაინც მოსაგებად უნდა გავიდეს ხვალ „ლოკომოტივზე“ და ყველაფერი იღონოს მარადი მეტოქის კიდევ ერთხელ დასამარცხებლად. რუსთა ძლევით მოტანილი სიხარული ალბათ არასდროს გაგვინელდება, რაკი უჩინარმა გამრიგემ ამ ვეშაპის გვერდით სამუდამოდ დაგვასახლა.

თუ არ ჩავთვლით სულ პირველ მარცხს პოლონეთში, რუსებს ძირითადად უგებდნენ ბორჯღალოსნები, ბრძოლაში მაგრამ მაინც, შინაც და გასვლაზეც. დღეს ეს ყველაზე ძნელი იქნება. რუსებზე ძირითადად ის ვიცით, რომ როგორც ყოველთვის, ახლაც მომზადებული აპირებენ ქართველებთან შებმას. აგრეთვე ამ რუსეთმა 36:6 დაამარცხა ის ესპანეთი, რომელსაც ჩვენი ნაკრები ფრე ეთამაშა. ერთი სიტყვით, რუსეთი, როგორც ყოველთვის ძლიერია და როგორც არასდროს, ისეა მონდომებული. მობეზრდათ „დათვებს“ ქართველებთან მარცხი, თავიანთ ჯერს ელიან...

ბორჯღალოსნები კი არცთუ საუკეთესო ფორმაში და ბოლომდე ჩამოყალიბებული გუნდით უხვდებიან მათ. კლოდ სორელის მემკვიდრე მწვრთნელთა ოთხეულმა ორი, როგორც დაერქვა, საცდელი მატჩის შემდეგ, ექსპერიმენტები გვერდზე გადადო და შეძლებისდაგვარად რჩეულებს მოუყარა თავი. რუსეთთან ჯახზე ეროვნულ გუნდში დაბრუნდნენ ძველი მეომრები, რომელთაც სანაკრებო კარიერა შარშან დაამთავრეს (დიდებულიძე, ლაბაძე) ან დაამთავრებინეს (მთიულიშვილი).

მაგრამ კვარტეტმა მაინც გააკეთა ერთი-ორი ექსპერიმენტი შემადგენლობის დაყენებისას. ყველაზე დიდი სიურპრიზიაგარემარბ მალხაზ ურჯუკაშვილის შიდა შუამარბად დაყენება. ვერ მოგახსენებთ, ოდესმე მახოს აქვს თუ არა ნათამაშები 12 ნომრის პოზიციაზე. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, გამართლდება თუ არა ის მყარად ჩამოყალიბებული აზრი, რომ ურჯუკაშვილი კარგი 12 ნომერი იქნება. ასევე დიდი გამოცდა იქნება ეს მატჩი მცველად (15) გამწესებულ ყმაწვილ ოთარ ბარკალაიასთვის. ნომინალურ 10 ნომერ ბარკალაიას, როგორც ამბობენ, ურიგოდ არ უთამაშია ესპანეთთან მისთვის არცთუ ჩვეულ პოზიციაზე.

და რაც მთავარია, რუსებთან ჯახი გამოცდაა ნაკრების მწვრთნელებისთვის. მიხეილ ბურძგლას, მალხაზ ჭეიშვილს, პაატა ნარიმანაშვილს და დავით ჩავლეიშვილს დღეს შეგირდების კარგი თამაში და იღბალი დასჭირდებათ.

იღბალი სჭირდება საქართველოს ნაკრებს და დაუზარელი გამხნევება. წავიდეთ, ხალხო, დღეს „ლოკომოტივზე“ და ხმამაღლა მოვითხოვოთ ის, რაც ყველა ჩვენგანს სწადია.

**ირაკლი ფირაშვილი**

**საქართველო — რუსეთი**
**ყველა მატჩი**

1993, 25 მაისი. გდანსკი (პოლონეთი)
**რუსეთი 15:9 საქართველო**

1996, 20 ოქტომბერი. თბილისი
**საქართველო 29:20 რუსეთი**

1998, 20 მაისი. თბილისი
**საქართველო 12:6 რუსეთი**

2001, 4 მარტი. კრასნოდარი
**რუსეთი 23:25 საქართველო**

2002, 3 მარტი. თბილისი
**საქართველო 12:12 რუსეთი**

2002, 13 ოქტომბერი. თბილისი
**საქართველო 17:13 რუსეთი**

2003, 8 მარტი. კრასნოდარი
**რუსეთი 17:23 საქართველო**



2002 წლის 13 ოქტომბერს თბილისში რუსთა ძლევამ მსოფლიოს თასის საგზური მოგვიტანა

**ევროპის ერთა თასი**

6 მარტი

ბუქარესტი
**რუმინეთი — ესპანეთი**

პრაღა
**ჩეხეთი — პორტუგალია**

**ექვსი ერი 2004**

6 მარტი. რომი
**იტალია — შოტლანდია**

6 მარტი. ლონდონი
**ინგლისი — ირლანდია**

7 მარტი. კარდიფი
**უელსი — საფრანგეთი**



ნინო ლეჟავას ფოტო

სერგეი სერგეევი ლამის 40 წლისაც ვერ მოვიშორეთ

# მოგვბეზრდა წაგება!

*გუშინ რუსეთის მორაგბეთა ნაკრები ჩარტერული რეისით ესტუმრა თბილისს სწორედ იმ დროს, როცა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და კათალიკოს-პატრიარქი ილია II დაბრუნდნენ საქართველოში. მოღრუბლული ამინდი იყო, მაგრამ რუსები მაინც მოხიბლა თბილისურმა თბილმა გაზაფხულმა და ამას არც მალავდნენ. „დათვების“ სახეზე ერთი რამაც მკაფიოდ იკითხებოდა, ერთი შეხედვითაც შეამჩნევდით, რომ ჩვენი ჩრდილო მეზობლები დიდი ამბიციებით ჩამოვიდნენ, რაც მათმა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმაც დაადასტურა:*

— ვფიქრობ, თამაში დაძაბული, თუმც სანახაობრივი იქნება. ჩვენ, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერადაც საომრად ვართ განწყობილნი. თქვენი ნაკრების ბოლო მატჩებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ არ არის სათანადოდ შეთამაშებული.

**— თქვენ საიდან იცით?**

— ესპანეთთან მატჩი ვნახეთ და განვიხილეთ. არა მგონია, ასეთი თამაშით მოგვიგონ ქართველებმა. არც პასი უვარგოდათ და მარაოც ვერ დახვეწეს. დერეფანშიც დაბნეულად გამოიყურებოდნენ...

**— მართალია, რომ თქვენს ნაკრებს სოლიდური სპონსორი ჰყავს?**

— დიახ, მოსკოვის ერთ-ერთი ბანკი გვაფინანსებს და მოგებაზე პრემიალური თანხებიც რიგდება.

**— თუ საიდუმლო არ არის, რამდენი?**

— ზოგ მორაგბეს მეტი ეძლევა, ზოგს ნაკლები. თუმც, როგორც თბილისში ამბობენ, 1000 დოლარიო, არ არის მართალი.

**— ქართველებთან გამარჯვების შემთხვევაში ამ თანხაზე მეტი დარიგდება?**

— საიდუმლოა.

რუსეთის ნაკრები სასტუმრო „საირმეში“ დაბანაკდა. „დათვებმა“ ორსაათიანი ფრენა კი „გადაიტანეს მაგრამ“ ცოტა დაისვენეს და გუშინვე ივარჯიშეს „ლოკომოტივზე“. ჩვენ მათ ლიდერებს გავესაუბრეთ.

**ვიაჩესლავ გრაჩოვი:** ძალიან არ მინდა, რომ მორიგი დამარცხება ვიწვნიოთ ქართველებთან. თითქოს ყოველთვის მზად ვიყავით, თუმცა სულ რაღაც დაბრკოლებას ვაწყდებოდით, ალბათ უფრო ფსიქოლოგიურს, ახლა კი განსაკუთრებულად თავდაჯერებულები ვართ და რატომღაც მგონია, რომ მოვიგებთ.

**სერგეი სერგეევი:** როგორც არასდროს, ისე ვარ დარწმუნებული, რომ გავიმარჯვებთ. უკან დასახევი გზა არ გვაქვს. თუმც ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ამ მატჩს პრინციპული მნიშვნელობა რა აქვს არც ჩვენთვის და არც ქართველებისათვის. ჩვენ ძველი მეტოქეები ვართ და საკმაოდ მტრულად განწყობილნი, თუმც მხოლოდ მოედანზე, მის გარეთ კი — მეგობრები. მე მიყვარს საქართველო, ქართველები და თქვენი არაჩვეულებრივი ტრადიციები, განსაკუთრებით სტუმართმოყვარეობა.

**კონსტანტინ რაჩკოვი:** მე ერთ რამეს დავამატებ, გვინდა მხოლოდ მოგება და არაფერი მოგების გარდა. ეს ჩვენი დევიზია.

**ნინო ლეჟავა**

# გეილი

რა გოგოა ეს გეილ დივერსი. ერთი სახეზეც დაგვანახა, ბუდაპეშტში მიმდინარე მძლეოსანთა ჭერქვეშა მსოფლიო ჩემპიონატზე გეილმა 60 მეტრზე რბენა 7,15 წამიანი შედეგით მოიგო. ჩვენ კი შევათვალიერეთ მისი ეროტიკული სამკაულები და ავაზისებური ბრჭყალები.






REUTERS ბუდაპეშტიდან

# ღლაბუცა

ხალისიანი კაცია რაშიდვოლესი. დეტროიტელმა გულშემატკივარმა იცის, რომ არათუ ვარჯიშისას, თამაშის დროსაც რაშიდი სალაღბუცოს აუცილებლად გამოძებნის.



REUTERS პორტლენდიდან



REUTERS მელბურნიდან

# უილიამსი მზადაა

ახლოვდება ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშება, მელბურნის „ალბერტ პარკზე" რომ გახსნის მეფორმულეთა სეზონს. „უილიამსის" საჯინიბოში ხალისიანად საუბრობენ ბოსი ფრენკ უილიამსი და ახალნავარჯიშევი ხუან პაბლო მონტოია. აქვე ვიტყვით, რომ ვარჯიშისას საუკეთესო დრო ერთ წრეზე „ფერარის" მიხაელ შუმახერმა უჩვენა — 24,718 წამი.

# ოსკარი ისტორიას შეუტევს

ოსკარ დე ლა ჰოიამ (მარცხნივ) საბრძოლველად გამოიწვია საშუალო წონის ჩემპიონი ბერნარდ ჰოპკინსი. გამოწვევის ოფიციალური ცერემონიალი ნიუ იორკში გაიმართა. ბრძოლა კი შემოდგომაზე, 18 სექტემბერს ლას ვეგასში გაიმართება. თუ დე ლა ჰოია იმარჯვებს, კრივის ისტორიაში პირველი მებრძოლი შეიქნება, ექვს სხვადასხვა წონაში რომ მოუგია ჩემპიონობა.




REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge